# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 17 იანვარი 2007 №8 (2931) ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა


# ორი ქართული ტრანსფერის სამი ვარიანტი

## არა და კომპლიმენტები, არადა, PRIMA SPELER



## ცქიტიშვილმა და ალკმაარმა ხელი ხელს დაჰკრეს: მშვიდობით!

საქართველოს ეროვნული ნაკრების 30 წლის შუახაზელის ლევან ცქიტიშვილის ჰოლანდიურ „ალკმაარში" ჩარიცხვა არ გამოვიდა.

ცქიტიშვილი 11 იანვარს ჩავიდა ჰოლანდიაში და რამდენჯერმე ივარჯიშა. მას ლუის ვან გაალთან რეკომენდაცია გუნდის კაპიტანმა შოთა არველაძემ გაუწია. გუშინ კი გაირკვა, რომ ცქიტიშვილი „ალკმაარში" არ დარჩება.

— თანხაზე ვერ შევთანხმდით. „ალკმაარს" ეგონა, მის შემოთავაზებულ პირობებს დავთანხმდებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა ისევ საბერძნეთში ჩავალ და იქ გავარკვევ, რომელ გუნდში გავაგრძელებ თამაშს — გვამცნო გუშინ ცქიტიშვილმა ჰოლანდიიდან.

შეგახსენებთ, რომ ლევანი სეზონის ბოლომდე ბერძნულ „პანიონიოსს" ეკუთვნის, თუმცა „ალკმაარი" და ცქიტიშვილი რომ მორიგებულიყვნენ, „პანიონიოსთან" წინასწარი შეთანხმებით, ფეხბურთელი, ფაქტობრივად, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდოდა ვან გაალის გუნდში.

ვერშემდგარ ტრანსფერზე კომენტარი შოთა არველაძესაც ვთხოვეთ...

„როცა ყველაფერი გაირკვა, ვან გაალი ჩემი თანდასწრებით ესაუბრა ცქიტიშვილს. მწვრთნელი უკმაყოფილო იყო, რომ კლუბის მენეჯერმა მისი გვერდის ავლით აწარმოა მოლაპარაკებები ლევანთან. ვან გაალმა მადლობა გადაუხადა ცქიტიშვილს საქმისადმი პროფესიონალური მიდგომის გამო. ცქიტიშვილმა მასზე კარგი შთაბეჭდილება რომ მოახდინა, იქიდანაც ჩანს, რომ ვან გაალმა ის ძალიან აქო, ნახევარდაცვაში შენზე უკეთესი არავინ მყავს, ჩემთვის მისაღები სტილის ფეხბურთელი ხარო. რა თქმა უნდა, მეც გულდაწყვეტილი ვარ, ეს ტრანსფერი რომ არ გამოვიდა" — გვითხრა არველაძემ.

**დავით თამართქილაძე**

## BOT TAK! ჩერვიჩენკომ ქაღალდი გააქრო: რუსი ხმას და მაზანდას უწევს



### სად მოხვდება გოგიტა გოგუა: ჰართსში თუ უეფას სანქციებში?



გოგიტა გოგუას შოტლანდიურ „ჰართსში" გადასვლის ამბავი ჩაიხლართა...

მართალია, ორიოდ დღის წინ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა „სარბიელს" უთხრა, „ჰართსში" გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, ედინბურგში ჩავალ და ხუთთვიან კონტრაქტს გავაფორმებო, მაგრამ ჩანს, საქმე მთლად ასე მარტივადაც არ არის. ეგ კი არა, შესაძლოა, უეფას წეს-კანონების უგულებელყოფისთვის გოგუამ ერთწლიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრას ხელი.

მოკლედ მივყვეთ: ორი წლის წინ გოგუა „თბილისიდან" რუსულ „ხიმკიში" გადავიდა, მაშინ ამ კლუბის პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო გახლდათ, რომელიც მალე ამ კლუბს დაშორდა და ახალ ხელმძღვანელობასთან მორიგებისას რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერის განკარგვის უფლება დაიტოვა, მათ შორის, გოგიტა გოგუასი და გიორგი ლომაიასი. ასე რომ, ქართველ ფეხბურთელებს ჩერვიჩენკოსთან დღემდე აკავშირებთ იურიდიული ვალდებულებები.

მერე ეს იყო: გოგუა იჯარით ნალჩიკის „სპარტაკში" გადავიდა და წარმატებული სეზონის მერე, ბუნებრივია, მისით სხვა კლუბები დაინტერესდნენ. გოგიტამ რუსული სეზონის დამთავრებისთანავე არაერთი წინადადება მიიღო, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე ხელსაყრელი შოტლანდიური „ჰართსი" აღმოჩნდა, რომლის მფლობელიც დიდი ფულის პატრონი ვლადიმირ რომანოვია, მწვრთნელი კი ვალდას ივანაუსკასი. ცნობისთვის: ორივე ლიტველია.

გოგუა „ჰართსში" გაფრინდა, გზად ბარგიც დაკარგა და ედინბურგში თავიდანვე ნირწამხდარი ჩავიდა. ეს ორი დღეა კი ბრიტანული პრესა იტყობინება, ქართველი ფეხბურთელი „ჰართსთან" კონტრაქტს დღედღეზე გააფორმებსო. მეტიც, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენიანს კონტრაქტი გამზადებული აქვს — გოგუამ „ჰართსში" ივარჯიშა და მის ტრანსფერს წინ ალარაფერი უდგასო, წერენ.

გოგუამ „ჰართსში" მართლაც ივარჯიშა, ექიმებმაც შეამოწმეს, მაგრამ... თურმე სადა ხარ...

— უეფას უკვე ვაცნობე და კონტრაქტის დარღვევისთვის გოგიტა გოგუა ალბათ შესაბამისად დაისჯება. როგორც ვფიქრობ, ექვსთვიანი, უარესს შემთხვევაში კი, ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ელის — გვითხრა წუხელ ანდრეი ჩერვიჩენკომ.

„ალბათ" და „უარეს შემთხვევაში" — დაგვეთანხმებით, ჩერვიჩენკოს ეს სიტყვები ძალიანაც დამაინტრიგებელია. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ახლა სწორედ ვაჭრობის დროა და, ვფიქრობთ, ჩერვიჩენკო მეტად სარფიან გარიგებას ელის. მით უმეტეს, ისიც დანამდვილებით ვიცით, რომ დღეს თუ ხვალ მასთან შეხვედრას აპირებს ის ხალხი, რომლებმაც გოგუა „ჰართსში" წაიყვანეს.

— არ ვიცი, ვინ აპირებს ჩემთან შეხვედრას, მაგრამ, დამეთანხმებით, როცა გოგუა „ჰართსში" მიდიოდა, ეს ჩემთვისაც უნდა ეთქვათ. ჯერ საქმე დაიწყო და მერე მოლაპარაკება?! მგონი, ეს სწორი არ არის.

— „ჰართსში" წასვლის თაობაზე გოგუა ალბათ შეგეხმიანებოდათ — კონტრკითხვასავით შევაგებეთ ჩერვიჩენკოს.

— დიახ, ეს მართალია, გოგიტამ მითხრა, რომ „ჰართსში" მიდიოდა, მაგრამ ჩემგან უარი მიიღო. ის მაინც წავიდა, გამოდის, კონტრაქტის პირობები დაარღვია და ნუ გამამტყუნებთ, თუ ეს ყველაფერი უეფას შევატყობინე. გოგუას „ხიმკისთან" სამწლიანი კონტრაქტი აქვს. უეფას წესებით კი, ფეხბურთელს სხვა კლუბთან მოლაპარაკების დაწყების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ თავის კლუბთან ექვს საკონტრაქტო თვეზე ნაკლები დარჩენია. გოგუას კი, ვიმეორებ, „ხიმკისთან" კიდევ სამი წელი აკავშირებს...

ანდრეი ჩერვიჩენკოსთან საუბრის შემდეგ „ჰართსის" მფლობელ ვლადიმირ რომანოვსაც დავუკავშირდით, მაგრამ მისგან ერთობ უცნაური პასუხი მივიღეთ: „მე არაფერი ვიცი".

გოგუა კი ედინბურგშია და „ჰართსთან" ერთად ვარჯიშობს...

**კობა ინასარიძე**

## ზაზა ფაჩულიას ვალსი–ბოსტონი



იმა და ამა წლების გასაყარზე წაგებებს დაჩვეული „ატლანტა ჰოქსი" ბოლოხანს წელში გაიმართა, მიჯრით ორ მეტოქეს გაუსწორდა და თუ „დეტროიტთან" მოგებაში ზაზა ფაჩულიამ წილი ვერ დაიდო, „ბოსტონთან" გამარჯვება სწორედ „ქორების" ქართველი ცენტრის დამსახურება იყო.

„საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ის არ მესიამოვნა, მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულში რომ არ დამაყენა და მხოლოდ 18 წუთი მათამაშა" — გვითხრა „ბოსტონთან" მატჩის შემდეგ ზაზამ, რომელმაც ამ 18 წუთში 12 ქულა გააკეთა.

ჯანსაღი ამბიცია და აგრესიულობა ფაჩულიას ნამდვილად არ აკლია და ეს, იცოცხლეთ, კარგია: ამ თვისებების გარეშე NBA-ს ჯუნგლებში თავს ვერ გაიტან. ზაზამ ეს თავადაც მშვენივრად იცის: „თუ მოედანზე ვარ, ბოლომდე ვიხარჯები. „ბოსტონთანაც" ასე იყო — მატჩის კრიტიკულ მომენტში ისე ვითამაშე, როგორც ლიდერს შეეფერება".


ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე უშუალოდ სპორტულ საკითხებს კურირებს და ინტერვიუშიც მეტწილად პროფილურ თემებზე ვესაუბრეთ. მასთან საუბარი კი ეროვნული ნაკრების კარსმომდგარი მატჩით დავიწყეთ...

# კონკურენცია ხელოვნურად არ უნდა შევქმნათ

## ტოპმიოლერს ერთი თინეიჯერი მეკარე უკვე მოსწონს

— საქართველოს A და B ნაკრებები 7 თებერვალს თურქეთის შესაბამის ნაკრებებს უმასპინძლებენ — სად და როდის გაიმართება მატჩები?

— B ნაკრებების მატჩი „ლოკომოტივის" სტადიონზე 13 საათზე გაიმართება, ხოლო A ნაკრებები ეროვნულ სტადიონზე 19 საათზე ითამაშებენ.

— ამბობენ, რომ ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობა იჯარისთვის დიდ თანხას ითხოვს, რითაც ფეხბურთის ფედერაცია უკმაყოფილოა...

— ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობასთან თანხაზე უკვე შეთანხმებულები ვართ და ამ შეთანხმებით საქართველოს ნაკრებმა ათი მატჩი უნდა ითამაშოს „ეროვნულზე". ათვლა შარშან საფრანგეთის მატჩით დაიწყო. რა თქმა უნდა, სხვადასხვა თამაშზე იჯარის ფასები დიფერენცირებულია.

— თურქეთთან მატჩისთვის საქართველოს B ნაკრები რა კონტინგენტით დაკომპლექტდება?

— ძირითადად ლეგიონერებით და იმ ფეხბურთელებით, რომლებსაც 21-წლამდელთა ნაკრებში თამაშის ასაკობრივი ზღვარი ახლახან გადააუცდათ. სათურქეთო სია მალე გახდება ცნობილი.

— ალბათ იცით, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, ეროვნულ ჩემპიონატზე დასწრება ჩემთვის დროის ფლანგვააო...

— ტოპმიოლერის ეს სიტყვები უარყოფითი პათოსით არ უნდა აღიქვათ. უბრალოდ, ტოპმიოლერისთვის ლეგიონერების გამოსვლის დინამიკაზე დაკვირვება უფრო საინტერესოა, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელებზე. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ტოპმიოლერის შტაბის წევრები რეგულარულად ესწრებიან. ახლახან თბილისში ჩამოვიდა ტოპმიოლერის სამწვრთნელო შტაბის წევრი პიტერ ზიგალი, რომელმაც საქართველოშიც აქტიურად უნდა იმუშაოს.

— გასაგებია, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერი საკუთარი ხედვით, გამოცდილებით და სასელექციო უნარით თავის ასისტენტებზე მაღლა უნდა იდგეს, ანუ მისი თვალი სხვაზე უფრო კარგად უნდა ხედავდეს ყველაფერს...

— რალფ მინგეს არ დაემართება ის, რომ, რაც, შეიძლება, ტოპმიოლერმა დაინახოს სელექციის მხრივ საქართველოს ჩემპიონატში, მან ვერ დაინახოს. ისიც, რომ ქართულ ფეხბურთში მოსაქმეთაგან არავინაა შეზღუდული, ამა თუ იმ ფეხბურთელს რეკომენდაცია გაუწიოს ტოპმიოლერთან. ჭანტურია, ქვაჩახია, იონანიძე, წინამძღვრიშვილი, კობახიძე... ფაქტია, რომ ეროვნულ ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატიდანაც იწვევენ ფეხბურთელებს. ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ფეხბურთელს კონკურენტი ამ ეტაპზე ფაქტობრივად არ ჰყავს და უაზრო, ხელოვნური კონკურენციის შექმნა არაფერს გვარგებს. თუმც ნაკრებში არის რამდენიმე ისეთი პოზიციაც, სადაც საკმაოდ მძაფრი კონკურენციაა. მოთხოვნის ფორმა არ უნდა მიეცეს იმას, რომ ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატიდან, რაც შეიძლება, მეტმა ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პატივს სცემს ჩვენს ჩემპიონატს და მასში მოთამაშე ფეხბურთელებს და ეს ნაკრების სამწვრთნელო შტაბსაც კარგად აქვს გათავისებული.

— ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი, ფაქტობრივად, უყურადღებოდ ტოვებს ბალტიისპირეთსა და აზერბაიჯანში მოთამაშე ლეგიონერებს...

— რიგის „სკონტოდან" ნაკრებში ზაალ ელიავა იყო გამოძახებული და ის კვლავაც საინტერესო ფეხბურთელია ეროვნული გუნდისთვის. ვფიქრობ, როცა ელიავა ფორმას სრულად აღიდგენს, მას კვლავაც მიეცემა სანაკრებო შანსი.

— მეკარის საკითხზეც ვთქვათ. უახლოეს მომავალში უცხოელი მეკარის ნატურალიზების შანსი აღარ დარჩა — ალექსანდრე ჩიხრაძის ჩამოყვანა ვერ მოხერხდა და სხვა ისეთი უცხოელიც არ ჩანს, საქართველოში ორი წელიწადი ჰქონდეს ნაცხოვრები ან ქართველი წინაპრები ჰყავდეს. გაქვთ ინფორმაცია, თუ როგორ აპირებს ტოპმიოლერი მეკარის პრობლემის გადაჭრას?

— მეკარის პოზიციაზე დიდი არჩევანი ნამდვილად არ გვაქვს. იურიდიულადაც ძალიან გართულებულია ჩვენთვის უცხოელი მეკარის ნატურალიზება, მაგრამ ძალიან სავალალო სიტუაციაშიც არ ვართ. მაგალითად, კლაუს ტოპმიოლერს 17-წლამდელთა ნაკრების მეკარე გიორგი მაკარიძე მოეწონა...

**დავით თამართქილაძე**

# ოლიმპის სამი-ზნე: მენთეშაშვილი, კორღალიძე, ჩალაძე



**საქართველოს** ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის „ოლიმპი" მეორე წრეს გადახალისებული შემადგენლობით შეხვდება. რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა დანიშვნისთანავე განაცხადა, კლუბის ხელმძღვანელობას სერიოზული მიზნები აქვს და ისეთი გუნდის შექმნას ვაპირებთ, ევროპაში საშუალო დონეზე რომ ითამაშებსო.

ძოძუაშვილმა უკვე დაიწყო ფეხბურთელების გადაბირება — პირველი შენაძენი ყაზანის „რუბინიდან" იჯარით წამოყვანილი ზურაბ არზიანი გახდა, შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებული რევაზ გოცირიძის ჯერი დადგა, ლიტვიდან ჩამოსული მირზა მერლანიც ოლიმპელია...

ერთი კვირის წინ რუსთაველთა მწვრთნელს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ზურაბ მენთეშაშვილის გადაყვანაც უნდოდა, გუშინ კი შევიტყვეთ, რომ „ოლიმპი" ყოფილი სკონტოელების — ლევან კორღალიძის და დავით ჩალაძის დამატებასაც აპირებს.

სიტუაციაში გასარკვევად გუშინ *რევაზ ძოძუაშვილს* შევეხმიანეთ...

— **მართალია, რომ კორღალიძის და ჩალაძის დამატებას აპირებთ?**

— ამ ეტაპზე კორღალიძესთან მოლაპარაკება მიდის. მას რამდენიმე ვარიანტი აქვს და თავად გადაწყვეტს, სად ითამაშოს. დაინტერესებულნი ვართ ჩალაძითაც.

— **მასთან არ გისაუბრიათ?**

— დათო საქართველოში არ-არის, ჩამოვა და ჩვენს პირობებს შევთავაზებთ. ვნახოთ, რა გამოვა...

— **მენთეშაშვილის თაობაზე ხომ არ შეცვლილა რამე?**

— ამ საკითხზეც მიდის მოლაპარაკება იაროსლავლურ მხარესთან და, თუ უსაშველოდ დიდი თანხა არ მოითხოვეს, ზურა ჩვენთან ითამაშებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფუტსალი კუნძულზე

**გუშინ** საქართველოს ფუტსალის ნაკრები მალტაზე გაემგზავრა, სადაც 18-21 იანვარს ევროშესარჩევ ციკლში ითამაშებს.

საქართველოს ნაკრების მეტოქეები მალტა, კვიპროსი და ყაზახეთი იქნებიან.

ჩვენებურთა სათამაშო გრაფიკი ასეთია:

18 იანვარი: საქართველო — ყაზახეთი

19 იანვარი: საქართველო — კვიპროსი

21 იანვარი: მალტა — საქართველო

დავით სოლოღაშვილმა მალტაზე ეს ფეხბურთელები წაიყვანა: *ლევან ზაქაიძე (არაზი, აზერბაიჯანი), ალექსანდრე ჯამბურია (იბერია 2003), ალექსანდრე ძაბირაძე (ანსარი, ყაზახეთი), რევაზ დევდარიანი (აზფენი, აზერბაიჯანი), გიორგი თოთლაძე (ომონია, კვიპროსი), ალიკ სარქისიანი (ომონია, კვიპროსი), გიორგი ალთუნაშვილი (იბერია 2003), ნიკოლოზ ჩალაძე (ცენტრ-პოინტი), ირაკლი შელეგია (ცენტრ-პოინტი), ლაშა ცნობილაძე (ცენტრ-პოინტი), არჩილ ბოკერია (ცენტრ-პოინტი), გიორგი სურმავა (ცენტრ-პოინტი), ავთანდილ ასათიანი (ცენტრ-პოინტი), ვახტანგ წერეთელი (იბერია 2003).*

**კახა შალამბერიძე**

# ქართველი 19-წლამდელები: ბიტბურგი სამი მატჩით



**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებს მაისში ევროჩემპიონატის ელიტ-რაუნდი ელის, მანამდე კი ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ტესტ-მატჩებს გეგმავს.

მარტის ბოლოს ჩვენი 19-წლამდელები ათი დღით გერმანიაში წავლენ — 19 მარტს ქალაქ ბიტბურგის სპორტსკოლაში შეიკრიბებიან და გერმანელ თანატოლებს შეხვდებიან ამხანაგურად. 25 მარტს უფროსი ტოპმიოლერის შეგირდები, სავარაუდოდ, „ლევერკუზენის", „კიოლნის" ან „კაიზერსლაუტერნის" ახალგაზრდულ გუნდს შეხვდებიან.

მესამე მატჩი ქართველებს 28 მარტს ექნებათ, მეტოქედ კი ლუქსემბურგის 19 ან 21-წლამდელთა ნაკრები ეყოლებათ.

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩები**

ჩელტენემი 1:1 სკანთორპი

ტრანმერი 1:0 ძრიუ

**მეორე ლიგა**
**გადადებული მატჩები**

აკრინგტონი 3:2 მენსფილდი

ბერი 1:1 დარლინგტონი

**ასოციაციის თასი**
**მესამე ეტაპი**
**გადათამაშება**

ბარნსლი 0:2 საუთენდი

ძოვენთრი 0:2 ბრისტოლი

იფსვიჩი 1:0 ჩესტერი

ლუთონი — ქუინზ პარკი გადაიდო

მანჩესტერ სიტი 2:1 უენსდი

ოლდემი 0:2 ვულვზი

პლიმუთი 2:1 პიტერბრო

მიდლსბრო 4:3 ჰალი

### ამხანაგური მატჩი

ვენესუელა — გვატემალა გადაიდო

### იტალია

**სერია B**
**გადადებული მატჩები**

კროტონე 0:0 ტრიესტინა

იუვენტუსი 2:1 ჩეზენა

### ესპანეთი

**თასის მერვედფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ბარსელონა 3:2 ალავესი (2:0)

### საფრანგეთი

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი**

რეიმსი 1:2 ბორდო

### შოტლანდია

**ასოციაციის თასი**
**მესამე ეტაპი**
**გადათამაშება**

ბრეჩინი 0:1 კოუდენბითი

დანდი იუნ. 3:2 სენტ მირენი

ქუინი 3:3დ.დ. (პენ4:2, 3:3) დანდი

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი **მალხაზ ასათიანი** ახლა გერმანიაშია, სადაც ტრავმისშემდგომ მეორე სარეაბილიტაციო კურსს გადის. გერმანულ რუიტში მალხაზს რუსული „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტმა ეფიმ შაინსკიმ ჩააკითხა და ამ საკმაოდ ვრცელ და საინტერესო წერილსაც აქვე გთავაზობთ...




## რუიტელი მეგობრები: მალხაზი და იენსი



# ორი თვეც და, გერმანული ტანჯვა ქართველს ბედნიერებას მოუტანს

### რუიტი და ხუთი თითი

ყველა კარი ჩარაზულია. ჩამიჩუმი არ ისმის, ჩიტებიც კი არ ჟღურტულებენ. აქვე მოჭრილი არყის ხე, რომლის ახლოს დახერხილი ტოტები დაულაგებიათ. უჩვეულო სითბოა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ შუა იანვარია, აქაურობისთვისაც კი მაღალი ტემპერატურაა — პლუს 13 გრადუსი.

მე და მალხაზ ასათიანი რუიტის სპორტულ ბაზაზე ვართ, ფიზიოთერაპევტის ზარს ველით, მალხაზი მან უნდა ავარჯიშოს.

...ვიხსენებთ, რომ ოდესღაც აქ „ლოკომოტივის“ შეკრებისას შევხვედრივართ... ახალ სასაუბრო თემას კი კედელზე ჩამოკიდებული სურათები გვაძლევს — 1998 წლის „ლოკომოტივის“ გუნდური ფოტო. მაშინდელი შემადგენლობიდან ახლა რკინიგზელები მხოლოდ მამინოვი, პაშინინი, გურენკო და, რა თქმა უნდა, იური სიომინი არიან, ოღონდ ახალ თანამდებობაზე. იქვეა ფაბიო კანავაროს და იტალიის ნაკრების სურათი მსოფლიოს თასით. ვერაფერს იტყვი...

ჰაერზე გავდივართ და მაგიდასთან ვსხდებით. სამწუხაროდ, მზე ვერ გვათბობს, თან ქარიც უბერავს...

— რუიტს და მის შემოგარენს ხუთი თითივით ვიცნობ — ამბობს ასათიანი — შარშან შემოდგომაზე აქ თვენახევარი გავატარე. კარგია, რომ ჩემი მეგობარი გია ჩამოვიდა საქართველოდან — ორნი ვიყავით და ისე მოსაწყენი აღარ იყო აქ გაჩერება. თან მაშინ ყავარჯნებით დავდიოდი. მახსოვს, მე და გია შტუტგარტში ჩავედით, სადაც ლევან კობიაშვილის „შალკე“ თამაშობდა. მაშინ კობიმ მცირე ტრავმის გამო ვერ ითამაშა და კარგა ხანი ვისაუბრეთ. საერთოდაც, ლევანთან ვმეგობრობ — ტრავმის შემდეგ ყოველდღე მირეკავდა.

**— ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— უკვე ნორმალურად. სამი თვე გავიდა მას შემდეგ. რამდენიმე დღის წინ იენს დემელტის მეთვალყურეობით სირბილიც დავიწყე. იენსი ფიზიოთერაპევტია, სწორედ მის ზარს ველი ახლა. კარგი ბიჭია, მასთან ერთად ვივარჯიშებ სამი კვირა.

### საუბარი საფეხბურთო ენაზე

**— რა ენაზე საუბრობთ?**

— სხვადასხვაზე. ხანდახან ცოტ-ცოტას ინგლისურადაც, თუმცა უფრო საფეხბურთო ენაზე.

**— ანუ?**

— ჟესტებით და მიმიკებით. მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს.

**— რუიტის შემდეგ რას გეგმავთ?**

— არ ვიცი. თუ ყველაფერი კარგად იქნა, შეიძლება, „ლოკომოტივს“ შეკრებაზე გავყვე.

**— აქ როგორი პროგრამით ემზადებით?**

— ვერც ამის თაობაზე ვიტყვი რამეს. შაბათს მხოლოდ ვირბინე — მოედანზე და კიბეებზე ზევითქვევით. ვნახოთ, რას შემომთავაზებს იენსი მომავალში. ბაზაზე სატრენაჟორო დარბაზიცაა და აუზიც. ერთი ის ვიცი, რომ დღეში ორი ვარჯიში მექნება.

**— ბურთით არ ივარჯიშებთ?**

— ძალიან მომენატრა ბურთი, მაგრამ იენსი ჯერ მიმალავს.

**— ვინმემ ძველით ახალი წელი მოგილოცათ?**

— არ მივიწყებენ მშობლები, მეგობრები საქართველოდან და მოსკოვიდან. სულ მირეკავენ. გასართობი აქ მხოლოდ ტელევიზორი მაქვს ნომერში, სადაც გამუდმებით აჩვენებენ ინგლისის, ესპანეთის და იტალიის ჩემპიონატებს. რა თქმა უნდა, ძნელია აქ, მაგრამ რა გაეწყობა, სამაგიეროდ, ჯანმრთელობისთვის ასეა საჭირო.

**— თანაგუნდელებს ეკონტაქტებით?**

— რა თქმა უნდა. ხუთი დღის წინ მოსკოვში შევხვდი ბიჭებს, ერთმანეთი მოვიკითხეთ, ვილაპარაკეთ და მერე დავშორდით. ისინი ახლა პორტუგალიაში არიან შეკრებაზე.

**— ახალი სეზონის წინ როგორ განწყობაზე ხართ?**

— სამწუხაროდ, ჩემპიონატის დასაწყისი გამიცდება. ახლა მთავარია, მალე აღვიდგინო კონდიციები. იმედი მაქვს, მაისიდან თამაშსაც შევძლებ.

**— ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ „ლოკომოტივს“ მესამე ადგილი ალბათ აღარ დააკმაყოფილებს...**

— ჩვენ ყოველთვის ჩემპიონობას გვთხოვდნენ და ძალიან საწყენია, რომ ბოლო ორ კარგად ჩატარებულ ჩემპიონატში ფინიშთან ვეღარ ვივარგეთ. ახლა ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩემპიონი „ლოკო“ გახდეს. ყველას უნდა წარმატების მიღწევა, მათაც, მედლები ლამის თავზე საყრელად რომ აქვთ. მოგება არასოდეს გწყინდება. კარგი ფეხბურთელები გვყავს, თან სიომინი დაბრუნდა. სხვათა შორის, სწორედ სიომინმა ამიყვანა „ლოკომოტივში“ 2003 წელს.

**— ანატოლი ბიშოვეცის გაცნობა მოასწარით?**

— კი, გავიცანით ერთმანეთი. მომიყვა, როგორ თამაშობდა ადრე კახი ასათიანთან და გივი ნოდიასთან ერთად. 1988 წელს ოლიმპიადის მომგებ საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც ხომ ბიშოვეცი წვრთნიდა და მისი შეგირდი ჩემი თანამემამულე გელა კეტაშვილი იყო.

### ხაჭაპური სატრენაჟორო დარბაზში

ქარი უფრო გაძლიერდა, იენსი კი არა და არ რეკავდა. ჩვენც ჰოლში გადავინაცვლეთ, რბილ სავარძლებში მოვკალათდით და ბევრი ვილაპარაკეთ ამინდზე, შტუტგარტის აეროპორტის მკაცრ მებაჟეებზე (მალხაზმა მითხრა, რომ მის თვალწინ რამდენიმე ქართველი არ შეუშვეს გერმანიაში, არადა, მათ ახალთახალი გერმანული ვიზები ჰქონდათ)... გავიხსენეთ ნანი ბრეგვაძე, სოსო პავლიაშვილი, ზურაბ სოტკილავა... ფიზიოთერაპევტის ზარი კი არა და არ არის...

— უცნაურია — ვთქვი მე — გერმანელებს ასეთი რამ არ სჩვევიათ.

— ის, ალბათ, ახალი გერმანელია — გაიღიმა მალხაზმა.

„ახალმა გერმანელმა“ იენს დემელტმა დარეკა მაშინ, როცა ამას უკვე აღარავინ ელოდა და ვარჯიში სალამოსთვის დანიშნა.

სატრენაჟორო დარბაზში შესვლისთანავე ასათიანი სასწორისკენ გაემართა...

— სულ მცირე, ორი კილოგრამი ზედმეტი მაქვს. ყველაფერი გასაგებია: ახალ წელს ხომ შინ, ქუთაისში შევხვდი. საქართველოში სახიფათოა დიდხანს დარჩენა — წონაში მომატება ძალიან იოლად შეიძლება.

მალე იენსიც შემოვიდა და ვარჯიშიც დაიწყო. ერთმანეთს ძალიან თბილად ესაუბრებოდნენ, ხშირად მიმართავდნენ „ჩემო მეგობარო“-თი და იღიმოდნენ. განსაკუთრებით ასათიანი, ვისაც დიდი დატვირთვების მერე სასაცილოდ საერთოდ არ ეცალა.

ვარჯიშს დეტალურად არ აღვწერ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ საათნახევარში ლოკომოტიველმა ტრენაჟორზე ფეხებით 15 ტონა აზიდა, დაახლოებით 30-ჯერ ჰანტელებით ხელში მაქსიმალური სისწრაფით აირბინა და ჩაირბინა კიბეზე, მრავალჯერ სპრინტერის სისწრაფით გაირბინა...

და ამ ყველაფრის შემდეგ მცირე პაუზების დროსაც კი ხუმრობდა...

— იენს, შენ იცი, რა არის ხაჭაპური? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა ასათიანმა.

— რა? ხა-ტსა-პუ-რი?

მალხაზს გაეცინა, მერე კი შეეცადა, ცნობილი ქართული კერძის რეცეპტი აეხსნა. საერთოდაც, ვარჯიშის დაწყებამდე ასათიანი სულ კულინარიული თემებისკენ იწევდა — ისიც თქვა, ვარჯიშის შემდეგ აუცილებლად წავალ სადმე კაფეშიო.

იენსი კი ხელში წამზომით იდგა და ზრდიდა და ზრდიდა ტემპს.

— რასაც ახლა მალხაზი აკეთებს, წარმოუდგენლად ძნელია — თანაუგრძნო იენსმა ფეხბურთელს.

მაგრამ ასათიანი მაგრად იდგა. კი გვიღიმოდა, თუმც უკვე ჩანდა, რომ ეძნელებოდა.

— ეს ვარჯიშები ნამდვილი ტანჯვაა, ფეხბურთის თამაში კი ნამდვილი ბედნიერება — გვითხრა მალხაზმა და თან ოფლი მოიწმინდა — მაგრამ ამ ტანჯვის გარეშე ბედნიერება არ მოდის.

ვარჯიშის ბოლოს კი ქართველი ფეხბურთელი მოულოდნელად გერმანულად ალაპარაკდა...

— Schmerz — თითით მიანიშნა მუხლზე, რომელიც უსიამოვნო შეგრძნებას უჩენდა.

იენსმა უპასუხა... ოღონდ ნახევრადრუსულად:

— Хорошо. ნორმალური რეაქციაა.

ვარჯიშის მერე ასათიანი უკვე არაფერს ამბობდა, წყალს ჭიქას ჭიქაზე სვამდა და...

— ახლა საჭმელზე ფიქრიც არ მინდა. ნეტავ მალე მივაღწიო საწოლამდე...

### ძალიან მალე: ვარჯიში ბურთით

ფიზიოთერაპევტის დატვირთვებისგან გათავისუფლებული ასათიანი დასასვენებლად წავიდა, მე და იენსი კი დარბაზში შევყოვნდით.

— მალხაზმა კიდევ უნდა მოუმატოს — მითხრა ფიზიოთერაპევტმა — უნდა ვამუშავოთ ფეხის კუნთები, დატვირთვები გავუზარდოთ მარცხენა მუხლს. ეს ყოველდღიური ვარჯიშები კოორდინაციის გაუმჯობესებაშიც დაეხმარება. ამ დარბაზშიც ვივარჯიშებთ, აუზშიც, მოედანზეც...

**— როგორ შეაფასებთ თქვენი პაციენტის ახლანდელ მდგომარეობას?**

— მას დიდი პროგრესი აქვს. შემიძლია ვთქვა, რომ ამ სამ თვეში საქმეები ჩინებულად მიდის. მომწონს მისი დისციპლინა, პუნქტუალობა, მონდომება... მას აქვს ყველაფერი, რათა მალე დაუბრუნდეს ფეხბურთს.

**— როდის დაიწყებს ბურთით ვარჯიშს?**

— ამ ეტაპზე ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ბურთით უმარტივეს ვარჯიშებს ორ კვირაში დავიწყებთ.

**— და როდის შეძლებს თამაშს?**

— თუ ყველაფერი რიგზე იყო, აპრილიდან გუნდთან ვარჯიში უნდა დაიწყოს, მაისის ბოლოსთვის კი აღარაფერი შეაწუხებს.

**— ამხელა დატვირთვების შემდეგ ვინმე აკონტროლებს ფეხბურთელის ფიზიკურ მდგომარეობას?**

— დოქტორი ფრიოლიხი სისტემატურად ულებს პაციენტს სისხლის ანალიზს, უკეთებს ელექტროკარდიოგრამას. ასე ვმუშაობთ ყველასთან, ვინც ჩვენთან მოდის. ასათიანამდე ჩვენთან მკურნალობდნენ მამინოვი, ლოსკოვი, სიჩოვი, ჩესნაუსკისი...

**— ალბათ უკვე ბევრი რუსული სიტყვაც იცით...**

— არც ისე, თუმცა სწავლას ვაპირებ.

# ძვირფასი ლომი
## გერმანული დითირამბები მათე ღვინიანიძეს



**„მიუნხენ 1860“** ოდესღაც იყო გერმანული გრანდი, დღეს კი ოდენ მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად ითვლება, თუმცა არაფერი შეგვეშლება, რომ დავწეროთ — მათე ღვინიანიძემ მიუნხენში გადასვლით კარგა ნაბიჯი გადადგა წინ. ჯერ კიდევ 6-7 თვის წინ ის მოსკოვის „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდში ირიცხებოდა, დღეს კი მათეს გარეშე ვალტერ შახნერის „ლომები“ წარმოუდგენელია.

„ლომების“ ძვირფასეულობა — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა წერილი ერთ-ერთ გერმანულ ვებ-გვერდზე, რომელშიც ღვინიანიძის დითირამბების მეტი ვერაფერი ამოვიკითხეთ: კაცმა რომ თქვას, სხვანაირად ვერც იქნება, 20 წლის ქართველ მცველს კრიტიკის საბაბი არავისთვის მიუცია. მეტი რაღა, „მიუნხენ 1860“-ის დაკარგული ქულების 80 პროცენტი იმ მატჩებზე მოდის, რომელშიც მათეს არ უთამაშია...

„მიუნხენში ჩამოსვლისას ღვინიანიძე 19 წლის იყო და მან ნახევარ წელიწადში ისეთი სახელი დაიგდო, რაზეც სხვები წლობით ოცნებობენ. ხასიათით თავშეკავებული, მაგრამ გამომეტყველებით თამამი ქართველი კლაუს ტოპმიოლერის რეკომენდაციით აღმოჩნდა ბავარიის მხარეში და გრუნდვალერის ქუჩაზე უმალ იპოვა თავისი თავი.

...„მიუნხენ 1860“-ში ღვინიანიძე ჯერ 23-წლამდელთა გუნდში ავარჯიშეს, მაგრამ ეს მხოლოდ დაზღვევა იყო, ძირითად გუნდში მალევე აიყვანეს. „ლომების“ მწვრთნელი ვალტერ შახნერი მოიხიბლა მისი ჭკვიანური და ამასთან ძალისმიერი თამაშით...

„ის დიდი კაპიტალია ჩვენთვის. მათე ძვირფასეულობაა, ნამდვილი ალმასია“ — ამბობს შახნერი და საერთოდ, მწვრთნელს სახე ებადრება, როდესაც ღვინიანიძეზე ეკითხებიან...

...189-სანტიმეტრიანი და 82-კილოგრამიანი ქართველი ფაბიან ლამოტის ნაცვლად დააყენეს დაცვის მარჯვენა ფლანგზე. მან ჩინებულად ჩაატარა სეზონისწინა მატჩები, პირველი ოფიციალური ნათლობა კი „ფიურტთან“ ჰქონდა. ის იმ ტიპის მარჯვენა მცველია, რომელიც ხშირად ინაცვლებს ცენტრში — გრეგ ბერჰალტერთან და ტორბერნ ჰოფმანთან ერთად ისე ირჯება, თითქოს სტაჟიანი ფეხბურთელი იყოს...

...1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, „მიუნხენ 1860“-ის კომერციული დირექტორი შტეფან როიტერი მათეზე ამბობს: „მა დიდი პოტენციალი აქვს. თან ელეგანტურია, თან აგრესიული, ამასთან ბრწყინვალედ თამაშობს თავით“.

...„ლომების“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა შტეფან ციფცერმა კი ეს თქვა: „მსიამოვნებს, როცა ღვინიანიძის თამაშს უყურებ, ძალიან ელეგანტურია“.

...კლაუს ტოპმიოლერს, რომელსაც საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელთა დიდი არჩევანი არა აქვს, ღვინიანიძისა ძალიან ეიმედება: „ის ახალგაზრდაა და პროგრესი კიდევ შეუძლია. მათე საქართველოს ნაკრების მომავალია, მას დაცვაში მარჯვნივაც შეუძლია თამაში და ცენტრშიც“.

ოქტომბერში ქართველი მცველი ტრავმამ შეაწუხა და რამდენიმე მატჩი გამოტოვა, მაგრამ მაინც გახდა „მიუნხენ 1860“-ის ფანების რჩეული.

ვალტერ შახნერი: „გამოკითხვამაც აჩვენა, რამდენად პოპულარულია მათე ფანებში. მჯერა, ეს აღიარება მას ბიძგს მისცემს“.

**ილია ნანობაშვილი**



დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“ უკვე შეუდგა უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას. გუნდთანაა ორი ქართველი — ჯაბა კანკავა და რევაზ ბარაბაძე. კანკავა გუნდის ახალწვეულია და დნეპროპეტროვსკელებს ორი დღის წინ შეუერთდა. ახალწვეულიო, ვთქვით, მაგრამ ჯაბა უკრაინის ჩემპიონატში ნახევარი წელია, თამაშობს და პირველი წრე კიევის „არსენალში“ საკმაოდ წარმატებულად ჩაატარა... ჩვენიანს უკრაინელი ჟურნალისტი ესაუბრა...

# იყო კარგი, არის დნიპრო

— როგორ დაიწყე თამაში?

— ჩემს მშობლებს ძალიან უყვართ ფეხბურთი და ექვსი წლისა მიმიყვანეს თბილისის „დინამოს“ სკოლაში. მამაჩემი „დინამოს“ გულშემატკივარია.

— ვლადიკავკაზის „ალანიადან“ კიევის „არსენალში“ როგორ მოხვდი?

— „ალანიასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი მქონდა, მაგრამ, როდესაც გუნდი რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდა, კონტრაქტის თანახმად, თავისუფალი აგენტი გავხდი. მერე ისე მოხდა, რომ ჩემი მომდევნო გუნდი „არსენალი“ გამოდგა.

— რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატებს შორის სხვაობა დიდია?

— განსხვავება ნამდვილად არის. რუსეთის ჩემპიონატი უფრო ძლიერია, მაგრამ უკრაინის ჩემპიონატი დიდად არ ჩამოუვარდება.

— იმ პირობებით, რაც პირველ წრეში „არსენალს“ ჰქონდა, გუნდმა კარგ შედეგს მიაღწია. რის ხარჯზე მოხდა ეს?

— „არსენალს“ შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს — ალექსანდრ ზავაროვი, ჩვენ მისთვის ვთამაშობდით. არავის მოუთხოვია ხელფასის მომატება, ან თუნდაც პრემიალური თანხა. გუნდი სულით და გულით თამაშობდა. პირველი წრე პირადად ჩემთვისაც ძალიან კარგი გამოდგა — ოთხი ბურთი გავიტანე. თუ ყოველ წრეში ოთხ-ოთხ ბურთს გავიტან, დიდებული შედეგი იქნება.

— პირველ წრეში „დნიპროსთან“ ჩატარებული შეხვედრა რით დაგამახსოვრდა?

— ძალიან კარგი თამაში იყო. ჯაკობიას და ნაზარენკოს ლამაზმა გოლებმა კი მატჩი უფრო დაამშვენეს.

— „დნიპრო“ როდის დაგიკავშირდა?

— ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში დაინტერესდნენ ჩემით. მაშინ სიტყვიერ შეთანხმებას მივაღწიეთ და, როგორც ხედავთ, ახლა აქ ვარ.

— რა ნომრიან მაისურას ჩაიცმევთ?

— სადაც მითამაშია, კლუბსა თუ ნაკრებში, ყველგან 22 ნომერი მიყავი. მინდა, „დნიპროშიც“ ეს ნომერი მერგოს, მაგრამ თუ დაკავებულია, რომელსაც შემომთავაზებენ იმას ჩავიცვამ.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

**ჩვენი მეტოქე**

# შოტლანდიის ლანდი თუ ნაღდი
## კანდიდატი ექვსია, ფავორიტი კი მაკლიში

**შოტლანდიაში** კვლავაც დიდი ბჭობა და ყოყმანია დიდად საჭირბოროტო საკითხზე — ვინ შეცვლის „რეინჯერსში“ გადასულ უოლტერ სმიტს შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე — ბრიტანული მედიის ფავორიტი ალექს მაკლიშია.

კანდიდატთა რაოდენობა ექვსამდე დავიდა, მაგრამ თითოეულის შანსი ძალიან ბუნდოვანია. ექვსეული ასეთია: ალექს მაკლიში, კრეიგ ლევინი, ტომ ბერნსი, ჯიმ ჯეფერისი, ჯო ჯორდანი და გარი მაკალისტერი.

„ფეხბურთში არაფერზე არ უნდა თქვა არასოდეს. როცა სამუშაო გამოჩნდება, გადაწყვეტილების მიღებისას იმაზე უნდა დაფიქრდე, რამდენად საინტერესოა ის შენთვის. შოტლანდიის ნაკრების გაწვრთნა ძალიან დიდი საქმეა“ — უთქვამს ლევინს.

მაგრამ ლევინს, ჯეფერისს და ჯორდანს ამ ეტაპზე დიდი შანსი არ უნდა ჰქონდეთ ტარტანის არმიის მთავარსარდლობისთვის, რამეთუ შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მთავარმა აღმასრულებელმა დევიდ ტეილორმა განაცხადა, ნაკრებისთვის ახალი მწვრთნელის შერჩევისას გვირჩევნია, ისეთ ვარიანტს ავცდეთ, როცა საკომპენსაციო თანხის გადახდა არ მოგვიწევსო.

ლევინიც, ჯეფერისიც და ჯორდანიც ამ დროისთვის უკვე დასაქმებულები არიან — ლევინი „ლესტერს“ წვრთნის, ჯეფერისი „კილმარნოკს“, ჯორდანი კი „პორტსმუთის“ თავკაც ჰარი რედნაპის ასისტენტია.

რაც შეეხება ბერნსს, ის სმიტის თანაშემწე იყო შოტლანდიის ნაკრებში და იმავდროულად „სელტიკის“ იუნიორებსაც მოძღვრავდა. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციისთვის ბერნსი მისაღები კანდიდატურაა, თუმც ქარიზმატულობითა და სიკაშკაშით დიდი ვერაფერი ხვითოა.

„რეინჯერსის“ ყოფილი მენეჯერი მაკლიში კი ახლა უმუშევარია და ირწმუნება, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ფავორიტი არ ვარო, მაგრამ...

„ახლა საკლუბო ფეხბურთში მსურს დაბრუნება. იმედია, შოტლანდიას დავტოვებ და ახალ სამსახურს ინგლისში დავიწყებ — ამბობს მაკლიში და იქვე დასძენს — დარწმუნებული ვარ, ნაკრების ახალ მწვრთნელი შოტლანდიელი იქნება, ვინც ჩვენს კულტურას კარგად იცნობს. ჩემთვის შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციიდან ჯერ არანაირი შემოთავაზებით არ მოუმართავთ, მაგრამ თუ ასე მოხდება, უარის თქმა ძალიან ძნელი იქნება.“

კიდევ ერთი კანდიდატი გარი მაკალისტერია, ვინც რამდენიმე დღის წინ განაცხადა, მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული მელანქოლია დავძლიე და მზად ვარ, მწვრთნელობას დავუბრუნდეო.

**დავით თავართქილაძე**

# ნალჩიკის სპარტაკმა ახალი ზოიძე ნახა

**ნალჩიკის** „სპარტაკი“ ორმა ქართველმა — გოგიტა გოგუამ და ლევან გვაზავამ, აგრეთვე ქართული წარმოშობის ალექსანდრე ჩიხრაძემ რომ დატოვეს, უკვე იცით, მაგრამ, ეტყობა, ყაბარდოული კლუბი ქართველების გარეშე ვერ ძლებს.

„სპარტაკი“ ახლა შეკრებაზეა, საკონტროლო მატჩიც გამართა უკრაინულ „ხარკოვთან“ და 3:1 გაიმარჯვა. ნალჩიკელთა შემადგენლობაში კენკიშვილმა და ზოიძემ ითამაშეს. კენკიშვილი, ჩიხრაძის დარად, რუსეთის მოქალაქეა და წინა სეზონი „ვოლგარ-გაზპრომში“ გაატარა, ზოიძეზე კი კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ირწმუნება, საქართველოდან ჩამოვიდაო, თუმც მისი არც სახელი წერია და არც ყოფილი გუნდი.

ყოველი შემთხვევისთვის, ეს ფეხბურთელი არც ირაკლი ზოიძეა და არც ბესიკ ზოიძე უნდა იყოს, რომელიც უკვე რამდენი წელია, ფუტსალში თამაშობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კიევს დავითის არ სჯერა

**არაბეთის** გაერთიანებულ საემიროებში შეკრებაზე მყოფმა კიევის „დინამომ“ მეორე ტესტ-მატჩი გამართა და კვლავაც დავით იმედაშვილის გარეშე. ანატოლი დემიანენკოს გუნდმა „ჰამბურგის“ 4:1 ძლევის შემდეგ „შტუტგარტსაც“ მოუგო (2:1), მწვრთნელმა კი 22 ფეხბურთელი ათამაშა.

როცა იმედაშვილი თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ კიევის „დინამოში“ მიდიოდა, არავის ჰქონდა იმას ილუზია, რომ უმალ ძირითადის ფეხბურთელი გახდებოდა, მაგრამ თუ ერთი წუთითაც დაანატრებდნენ თამაშს...

მომდევნო მატჩს კიეველები 19 იანვარს გამართავენ ბულგარულ „ლიტექსთან“.

**ილია ნანობაშვილი**

# რეალური შოუ: როგორ გააცურა ბექჰემმა კალდერონი

## მსუქანი ბრაზილიელი გასაყიდად გამოიტანეს



**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ერთ-ერთ ესპანურ ტელევიზიასთან ინტერვიუში სასტიკად გააკრიტიკა დევიდ ბექემი. როცა სამეფო თეთრების თავკაცს ჟურნალისტმა ინგლისელის გუნდიდან წასვლის შესახებ ჰკითხა, გაბრაზებულმა კალდერონმა უპასუხა: „დევიდ ბექემმა „რეალი“ უსინდისოდ მოატყუა. პროფესიონალი თავის კლუბსა და საკუთარ თავს პატივს უნდა სცემდეს და ასე არ უნდა იქცეოდეს. ბექემი „რეალთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გვეთათბირებოდა მაშინ, როცა „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ უკვე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. სახლიც კი უყიდიათ ლოს ანჯელესში. ჩვენ კი სიმართლე ბოლო წამამდე არავინ გვითხრა, არც ბექემმა და არც მისმა რომელიმე წარმომადგენელმა. დევიდის მიერ მადრიდში განვლილი გზა ასეთ ფინალს არ იმსახურებდა“.

სენიორ კალდერონმა განაცხადა, რომ აქამდე ინგლისელს, როგორც ფეხბურთელს და როგორც ადამიანს, მისაბაძ პიროვნებად მიიჩნევდა, მაგრამ დევიდის ეშმაკური საქციელის შემდეგ, პრეზიდენტს და ფაბიო კაპელოს მასზე წარმოდგენა შეეცვალათ. „მე და ფაბიო ამ ფეხბურთელს ძალიან ვაფასებდით, თუმცა მადრიდში ბექემის მიერ გამართული პრესკონფერენციის შემდეგ მის შესახებ უკვე სხვანაირად ვფიქრობთ. „ლოს ანჯელეს გალაქსი“ სცენაზე სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა. ეს ყველაფერი შოკისმომგვრელი იყო ჩვენთვის“ — თქვა კასტილიური გრანდის პრეზიდენტმა.

ჟურნალისტებმა კალდერონს ფაბიო კაპელოს შესახებაც ჰკითხეს. მადრიდული კრიზისის შემდეგ ესპანურ და ევროპულ მედიაში ვარაუდობენ, რომ იტალიელი „რეალის“ მწვრთნელის თანამდებობას მალე დატოვებს და მის ნაცვლად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ყოზე მაურინიუ, ვისენტე დელ ბოსკე ან მარჩელო ლიპი გამოჩნდება. „კაპელო სიტყვის კაცია. როცა მადრიდში მოვიდა, განგვიცხადა, რომ „რეალისთვის“ ძველი ღირსების დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებდა და ამას აუცილებლად შეასრულებს. მწვრთნელს „ბერნაბეუზე“ დარჩენა კონტრაქტით კიდევ სამი წლით უწევს, იგი არსად წასვლას არ აპირებს და მეც მის გადაწყვეტილებას მხარს ვუჭერ“ — თქვა „რეალის“ პრეზიდენტმა.

და, რა თქმა უნდა, რონალდო. რამონ კალდერონმა აღნიშნა, რომ ბრაზილიელთან თანამშრომლობის გაგრძელებას აღარ აპირებს. ცოტა უცნაური სიტუაციაა, „სარაგოსასთან“ თამაშის წინ მწვრთნელმა კაპელომ კორესპონდენტებს უთხრა: „რონალდოს ტრავმა აწუხებს და მოედანზეც ამიტომ არ გამოვა. ისე კი მას კლუბთან კონტრაქტი არ გაუწყვეტია და როგორც კი სატკივარს მოირჩენს, ისევ ძირითადში ვიხილავთ.“ შეგახსენებთ, რომ კაპელომ ეს სიტყვები შაბათს, „სარაგოსასთან“ მატჩის წინ წარმოთქვა. გუშინ კი კალდერონმა ბრაზილიელი გუნდიდან დაითხოვა: „ჩვენ ფეხბურთელების სურვილს პატივი უნდა ვცეთ. რონალდოს მადრიდში დარჩენა აღარ უნდა და მისი დაბრკოლების უფლება არ გვაქვს. ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომ რონიმ „რეალი“ ღირსეულად დატოვოს. კლუბის სპორტულმა დირექტორმა მიატოვიჩმა ბრაზილიის შესახებ უცხოურ კლუბთა შემოთავაზებები უკვე მიიღო. ახლა გასარკვევი მხოლოდ ის არის, რონალდო „სანტიაგო ბერნაბეუს“ იანვარში დატოვებს, თუ სეზონის დასასრულს.“

„ასის“ ცნობით, რონალდო ნელნელა „მილანს“ უახლოვდება. ფაბიანო ფარა, ფეხბურთელის აგენტი, მილანში ყოფილა და „როსონერის“ თავკაცობასთან ბრაზილიელის კონტრაქტის გაფორმებაზე ჩალიჩობს. გარიგებაში ცნობილი ერნესტო ბრონძეტიც მონაწილეობს. ესპანური გაზეთები აღნიშნავენ, სენიორ ბრონძეტის ისეთი ფანტასტიკური ტრანსფერები გაუჩარხავს, „სან სიროზე“ კიჭას მიყვანა არ უნდა გაუჭირდესო.

ამასთანავე „ასი“ გვამცნობს, რომ რონალდოს ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, „მილანს“ აირჩევს თუ რომელიმე არაბულ ან ჩრდილოამერიკულ კლუბს. კიჭას ხელში ჩაგდება საუდის არაბეთის „ალ-იტი-ჰადს“ და [illegible] უნდათ. სწორედ [illegible] ბიელზე ისაუბრეს რონიმ და ფაბიანო ფარამ მადრიდში, ვიდრე ბრაზილიელისგან დამოძღვრილი აგენტი მილანის გზას დაადგებოდა.

ფარას იტალიაში „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ გალიანისთანაც უსაუბრია და „როსონერის“ მეპატრონე დონ სილვიო ბერლუსკონისთანაც. იქაურები კიჭას თაობაზე ჯერ ყოყმანობენ, თუმცა, ცხადია, რონის „სან სიროზე“ გადაბარგება იტალიაში ბომბის აფეთქების ტოლფასი იქნება, განსაკუთრებით რონალდოს ყოფილი გუნდის და „მილანის“ მოისხლე მტრის „ინტერისთვის“.

თუ „ელ გორდიეტო“ (მადრიდში ბრაზილიელს მეტსახელად „მსუქანა“ შეარქვეს) მართლა „მილანში“ გადავიდა, გამართლებიათ იქაურებს და ეგ არის, გოლზე დაგეშილი „მსუქანა“ მეტოქეთა მისადღგომებს აათხრებს და „მილანს“ მთავარ პრობლემას, საგოლე გვალვას, მოუხსნის. მაგრამ აქ ერთი პრობლემაც არსებობს: გადაიხდის კი „მილანი“ ისეთ ფეხბურთელში ბლომად ფულს, რომელიც საამსეზონოდ ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს?

განსაკუთრებით აღრიანო გალიანია რონალდოს „მილანში“ მიყვანის მომხრე. ვიცე-პრეზიდენტი „მსუქანას“ შესახებ „ლა გაძეტა დელო სპორტს“ გაესაუბრა: „რონალდო? რა თქმა უნდა, მის შესაძენად ყველანაირ შანსს გამოვიყენებთ. რონალდო დიდებული ფეხბურთელია. სამწუხაროდ, დღეს რონის „მილანში“ მოყვანას წინ ბევრი სიროული ელობება, მაგრამ პირადად მე მოხარული ვიქნები, თუ მას ჩვენს კლუბში ვიხილავ“.

**ლადო ხომერიკი**

# სროლა სამალავიდან

## იუჰანსონს გულში სამი მოხვდა



**ახლოვდება** უეფას პრეზიდენტის არჩევნები და პრეტენდენტებს შორის მწარე სიტყვათა გაცვლა-გამოცვლა მატულობს. გუშინდელ „სარბიელში“ მიშელ პლატინის ინტერვიუ იყო გამოქვეყნებული, დღეს კი ლენარტ იუჰანსონის კომენტარის ამბავს მოგახსენებთ. უეფას 77 წლის ჯერ კიდევ შეფმა ფრანგის სიტყვებს სამალავიდან სროლის ნაირსახეობა უწოდა.

იუჰანსონმა თავისი პოზიცია ოფიციალური განცხადების ფორმით გამოთქვა. პლატინის გამონათქვამებიდან მის გულს ყველაზე მეტად სამი მოხვედრია, კერძოდ კი ისინი, სადაც კონკურენტი მის ჯანმრთელობას აყენებს ეჭვქვეშ, ამბობს, რომ იუჰანსონი არასდროს არ არის ნიონში ანუ ჩვეულებრივი სიტყვებით რომ ვთქვათ სამსახურში და ის, სადაც პლატინი კითხულობს, რად უნდა იუჰანსონს კიდევ ერთი საპრეზიდენტო ვადა.

იუჰანსონი, რომელზეც ითქვა, რომ პროსტატიტის სიმსივნეს მკურნალობს, თუმცა რომელიც ბოლო დროს აცხადებს, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელია, პლატინის პასუხად წერს:

„მე პირადული ხასიათის შეტევები არ მჩვევია და ახლაც, როდესაც ჩემს შესახებ გამოთქმულ აზრებს ვკითხულობ, იძულებული ვარ ენაზე ვიკბინო. უბრალოდ ვაცხადებ, რომ მე ჯანმრთელად ვარ, მომავალს შევყურებ და აღფრთოვანებული ვარ იმ მხარდაჭერით, რომელიც ყოველი მხრიდან მივიღე“.

როგორც ხსენებული განცხადებიდან ირკვევა, იუჰანსონი მიშელ პლატინის რამდენიმე საქმიან მოსაზრებასაც გაულიზიანებია. კერძოდ, საქმე ჩემპიონთა ლიგაში ბობოლა ქვეყნებისთვის ადგილების ჩამოჭრას ეხება.

„ისეთ შეჯიბრებას, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, ექსპერიმენტის საგნად ვერ გავხდით“ — განაცხადა იუჰანსონმა.

ყრილობა, სადაც გაირკვევა თუ ვინ გახდება უეფას პრეზიდენტი, პლატინი თუ იუჰანსონი, 26 იანვარს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება.

**ბაკუნა ბედია**



# სქოთური მაზი

**კრიშტიანუ რონალდუ** სერ ალექს ფერგიუსონს დანიძლავებია, სეზონში 15 გოლს გავიტანო.

ახლა, როცა „ასტონ ვილას“ თავური შეუგდო, პორტუგალიელი ფიქრობს, რომ ნიძლავი მოგებულია, რადგან ეს გოლი რიგით მე-13 იყო.

შარშან ასეთივე ნიძლავი რონალდუს წააგია, წელს კი სეზონის დასაწყისში ბოსისთვის უთქვამს, წინანდელივით ასზე კი არა, ახლა 400 გირვანქაზე გავმაზოთო.

„ამ ჯერზე ვიგებ — თქვა გარემარბმა — თუ ბიჭებიც მომეხმარებიან“

ფერგი კი ბიჭის აგდებას ცდილობს: „მე სქოთურ ენაზე გავუმაზე, ამიტომ მან ნიძლავის არსი ვერ გაიგო“.

რონალდუ კი „იუნაიტედის“ მთავარმეგოლეა და თავისი მე-13 ბურთი მხოლოდ პრემიერლიგაში გაიტანა. ის მესამე ფეხბურთელია ლიგის ისტორიაში, ზედიზედ რომ მოიპოვა თვის საუკეთესო მოთამაშეობა.

„ის სულ უკეთესი და უკეთესია — თქვა ფერგიმ — გოლებიც უნდა გაიტანოს, აბა, რა? ორივე ფეხით ერთნაირად ურტყამს და მაღალი ნახტომიც აქვს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კუიტი ბჭობს, კარაგერი იცინის

## ლივერპული დიდი შაბათისთვის ემზადება


დირკ კუიტი

„შაბათს ჟოზე მაურინიუ „ენფილდზე" სულ სხვა, უძლიერეს „ლივერპულს" ნახავს" — განაცხადა მერსისაიდული კლუბის ჰოლანდიელმა ფორვარდმა დირკ კუიტმა „სანთან" ინტერვიუში.

„ლივერპული" — ჩელსი" 20 იანვარს გაიმართება. მასპინძლებს მეორე ადგილზე გადაბრძანება თუ სურთ, პირველ რიგში ეს პრინციპული თამაში უნდა მოიგონ. „ლივერპული" ლიგისა და ასოციაციის თასიდან „არსენალმა" გააგდო, მაგრამ პრემიერლიგაში ბენიტესის გუნდმა ბოლო ათი მატჩიდან რვა მოიგო და არცთუ ურიგო ფორმაშია. 26 დეკემბერს „ბლექბერნთან" სტუმრად 0:1 წაგების შემდეგ „წითლები" აღარ დამარცხებულან, თან ბოლო ათ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. ჰოდა, გასულ კვირას უოტფორდში 3:0 გამარჯვების მერე დირკ კუიტი ამბობს, რომ „ჩელსის" სწორედ ფორმის პიკზე ხვდებიან: „ჩემპიონობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „ჩელსის" თუ დავამარცხებთ, ხუთი ქულით მივუახლოვდებით და მეორე ადგილისთვის ბრძოლა გაგვიადვილდება. ჩემპიონატში მართლაც საუცხოოდ ვთამაშობთ და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ ხარისხს. ასე რომ, „ჩელსის" ჩვენთვის კარგ დროს ვხვდებით. „არსენალთან" თასზე ორი წაგების შემდეგ გონს უნდა მოვსულიყავით და ეს „უტფორდთან" შევძელით. ცხადია, „ენფილდზე" შაბათს დიდი ბრძოლა გაიმართება და ამას მოუთმენლად ველი".

მართალია, რაფაელ ბენიტესის ხელში „ლივერპულს" „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში დაუმარცხებია და ასოციაციის თასისა თუ სუპერთასის მატჩებშიც მოუგია, მაგრამ სამაგიეროდ „წითლებს" „ლურჯებთან" პრემიერლიგაში უჭირთ. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ბენიტესი მივიდა გუნდში, „ლივერპულმა" დიდ სამეულთან („მანჩესტერი", „ჩელსი", „არსენალი") 15 შეხვედრაში მხოლოდ ორჯერ იმარჯვა. დირკ კუიტმა იცის ეს სტატისტიკა და ტრადიციის დარღვევას შაბათს ეცდება თანაგუნდელებთან ერთად, რომლებიც, მისი აზრით, „ჩელსის" წასაქცევად სრულ მზადყოფნაში არიან. „ხალხი დიდ სამეულთან ჩვენს უარყოფით შედეგებზე საუბრობს — თქვა ჰოლანდიელმა — მე კი შეგახსენებთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ იმაზეც ლაპარაკობდნენ, რომ „ლივერპული" სტუმრად ვერ იგებსო. ახლა ჩახედეთ ცხრილში და ნახავთ — სტუმრად ოთხი შეხვედრის მოგება შევძელით, რაკი ნავსი გავტეხეთ, დარწმუნებილი ვარ, რომ შაბათს „ჩელსისთანაც" ჩვენს სასიკეთოთ შევცვლით ტრადიციას".

„ლივერპულის" ცენტრალურ მცველს ჯიმი კარგერს ეცინება იმ მოსაზრებაზე, თითქოს მისი გუნდის ფეხბურთელებს „დიდების" ეშინიათ და ფსიქოლოგიურად აგებენ. „დიდებთან" ცუდი ბალანსი კი გვაქვს, მაგრამ არავისი არ გვეშინია. სულაც არ ვფიქრობ, რომ „ჩელსის", „მანჩესტერს" „არსენალსა" და ჩვენს შორის დიდი სხვაობაა. ნებისმიერი მათგანის დამარცხება შეგვიძლია. ამ დროისთვის, ალბათ სწორედ „ლივერპულია" ყველაზე კარგ ფორმაში და ეს ფორმა უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ჯერ „ჩელსი" გვესტუმრება, მერე კი „მანჩესტერიც" მოვა „ენფილდზე". ვიმედოვნებ, რომ ამ ორი მატჩის შემდეგ ლიდერებს კიდევ უფრო მივუახლოვდებით" — განაცხადა კარაგერმა.

**ირაკლი ნინიძე**



# ოქროს ბორკილები ოქროს ბიჭებისთვის

## ლამპარდს და ტერის პატიმრობით ემუქრებიან

**„ჩელსის"** უნდა, რომ ფრენკ ლამპარდმა და ჯონ ტერიმ კლუბთან კონტრაქტები განაახლონ, რათა ისინი, გუნდიდან მაურინიუს წასვლის შემდეგ, რაც სავსებით რეალურია, პორტუგალიელს არ გაჰყვნენ.

აღმასრულებელ დირექტორს პიტერ კინიონს დაავალეს, რომ „ოქროს ბიჭები" — ლამპარდი და ტერი — „ოქროს ბორკილებით" დააბას ანუ ჯამაგირის მომატებაზე დაელაპარაკოს. ამ ფეხბურთელების სამომავლოდ შენარჩუნება ამჟამად „ჩელსიში" მთავარი თემაა.

სავარაუდოდ, ჯონ ტერის ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს და კვირაში 121 ათას გირვანქას შესთავაზებენ. ამით იგი გუნდის ყველაზე ჯიბესქელ მოთამაშეებს, ანდრეი შევჩენკოს და მიხაელ ბალაკს გაუტოლდება. უკვე ოთხი თვეა, რაც ტერის ახალ კონტრაქტზე მუშაობენ და ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კაპიტანი ქაღალდებს მალე ხელს მოაწერს.

რაც შეეხება ფრენკ ლამპარდს, მისი ჯამაგირი კვირაში 118 ათასი გირვანქაა და თუკი ტერის მოუმატებენ, ისიც მოთხოვს ხელფასის გაზრდას და ცხადია, 3 ათასი გირვანქით კი არა, უფრო მეტით. თუმც რომან აბრამოვიჩს უთქვამს 121 ათასზე მეტს ვერავინ მიიღებსო.

„სანის" ცნობით, ფრენკ ლამპარდი და ჟოზე მაურინიუ მადრიდის „რეალს" სურს. ინგლისელ ნახევარმცველს „ჩელსისთან" კონტრაქტი 2009 წელს ეწურება და მისი გაყიდვის შემთხვევაში ლონდონური კლუბი დაახლოებით 25 მილიონ გირვანქას მოითხოვს. თუკი აბრამოვიჩი სიტყვას არ გატეხს, მაშინ ლამპარდი „ჩელსიდან" წავა.

ამასობაში, ჟოზე მაურინიუ და რომან აბრამოვიჩი შერიგდნენ. გაბუტვის მიზეზი კი, მოგეხსენებათ, ის იყო, რომ აბრამოვიჩმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფულის დახარჯვა არ ინება. ორი დღის წინ რუსი მილიარდერი დათანხმდა მაურინიუს მოთხოვნებს და შესაძლოა, ამ კვირაში „ბოლტონის" მცველი ტალ ბენ ჰაიმი იყიდონ 2 მილიონ გირვანქად. თუმც პორტუგალიელს ეს არ აკმაყოფილებს და ფორვარდსაც ითხოვს. მას „ბლექბერნიდან" ბენი მაკარტი სურს, რომელმაც მაურინიუს „პორტუში" ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

„ჩელსისთვის" კარგი ამბავი კი ისაა, რომ ტრავმამოშუშებულმა პეტრ ჩეხმა ვარჯიში დაიწყო და შესაძლოა, მომავალ კვირაში „უიკომბთან" ლიგის თასის საპასუხო მატჩში ითამაშოს. ოღონდ, მეკარეს მორაგბეების მსგავსად ჩაფხუტით თამაში მოუწევს და ექიმის განცხადებით, ჩეხმა ქუდი სამი წლის განმავლობაში უნდა ატაროს ვარჯიშზეც და მატჩებზეც.

**ირაკლი ნინიძე**



# აქ რამ მოგიყვანა?

**ანდრეი შევჩენკოს** სუსტმა თამაშმა სხვა გუნდების ფეხბურთელებიც აალაპარაკა. „ჩელსის" 30-მილიონიან შენაძენს „არსენალის" ნახევარმცველმა ალექსანდრ გლებმა ინგლისური ფეხბურთისთვის მოხუცი უწოდა.

„მე ვერასდროს გავრისკავდი კარიერის დასამთავრებლად ინგლისში ჩამოსვლას. რაც უფრო ასაკში ხარ მით უფრო გიჭირს — თქვა 25 წლის გლებმა 30 წლის შევჩენკოს შესახებ — დარწმუნებული არასდროს ვიყავი, რომ ის აქ კარგად ითამაშებდა. შევას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და მას პატივს ვცემ, ოღონდ პრობლემა აქაურ თამაშის სტილშია. მინდორზე ძალიან ცოტა დრო გაქვს ფიქრისთვის და სწრაფად მოძრაობ. იტალიაში კი სხვაგვარადაა".

უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა კი ჟოზე მაურინიუ გააკრიტიკა, შევჩენკოს გოლებს რომ სთხოვს, ჯერ ინგლისურ სტილთან შეგუების საშუალება მისცესო. „როცა პრესა და ფანები გაკრიტიკებენ ერთია — თქვა ბლოხინმა — მაგრამ როცა მწვრთნელი დაგიწყებს სახალხო კრიტიკას, ეს უსიამოვნო და არასწორი რამაა".

**ირაკლი გამყრელიძე**

# სპალეტობა გრძელდება

**იტალიურმა** „რომამ" მწვრთნელთან ლუჩანო სპალეტისთან კონტრაქტი გააახანგრძლივა. შეთანხმების პირობები ჯერჯერობით ოფიციალურად არ გახმაურებულა, თუმცა იტალიური პრესა გვამცნობს, რომ სპალეტიმ „გლადიატორებთან" 2011 წლამდე გააახანგრძლივა კონტრაქტი. სეზონში იგი 1,4 მილიონ გირვანქა მიიღებს და თუ გუნდი წარმატებას მიაღწევს, არც პრემიები დააკლდება.

„კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენსი და მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი ძალიან კმაყოფილები არიან მიღწეული შეთანხმებით. კონტრაქტის დეტალებს ახლო მომავალში გაცნობებთ" — ნათქვამია „რომას" ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, რომ „უდინეზეს" ყოფილი თავკაცი „რომაში" 2005 წელს მივიდა და დედაქალაქელთა რიგებში მისი მუშაობა მართლაც შთამბეჭდავია. ამბობდნენ, სპალეტის ბევრი მსურველი ჰყავს და მის გადაბირებას ეცდებიანო, მაგრამ ნიჭიერმა ტაქტიკოსმა „რომასთან" კონტრაქტის გახანგრძლივება არჩია.

**კოკი კანდელაკი**





# ჯარისკაცის ვარჯიში

## ჩემს მუხლს ჰკითხეთ, უნდა?

ბრემენის „ვერდერთან“ ავბედითი მატჩიდან სამთვენახევრის შემდეგ, გუშინწინ, სამუელ ეტოომ „კამპ ნოუზე“ პირველად ივარჯიშა. წვრთნა ფიზმომზადების მწვრთნელ ალბერტ როკას ხელმძღვანელობით დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. კამერუნელის დაბრუნების თარიღი ახლოვდება, თუმცა „სელტასთან“ 28 იანვარს ეტოო ვერ გამოვა მოედანზე. თავიდან ექიმები ვარაუდობდნენ, რომ „სელტასთან“ თამაშს შეძლებდა, მაგრამ ახლა იგი აცხადებს, ბურთსა და მოედანს მაშინ დავუბრუნდები, როცა თავს კარგად ვიგრძნობ, განსაზღვრულ თარიღს კი წინასწარ ვერ გეტყვითო.

დღეს „ბარსელონა“ კრიზისშია. გუნდმა ბოლო თამაშებში სავარაუდო თხუთმეტიდან ექვსი ქულა მოიპოვა, ამიტომაც მეგოლე ეტოოს დაბრუნებას მთელი კატალონია სასოებით მოელის. თუმცა, კამერუნელმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ საუბარში მხსნელის და „მესიის“ როლი კატეგორიულად უარყო.

„მე მხსნელი არ ვარ, უბრალოდ, ვცდილობ, რომ ჩემი საქმე კარგად ვაკეთო. არც სხვა გუნდებში ვყოფილვარ „მესია“, იქაც უბრალო ჯარისკაცი ვიყავი და მხოლოდ ჩემზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულებაზე ვფიქრობდი. ვიცი, „ბარსასთვის“ რასაც წარმოვადგენ და ისიც ვიცი, სამუელ ეტოოს რაც შეუძლია. მე მოედანზე საქმის გასაკეთებლად გამოვდივარ და წარმატებებიც არ აყოვნებს, ხოლო ვინმეს თუ ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება, ეს ნაკლებად მაინტერესებს“ — განაცხადა აფრიკელმა მეგოლემ.

კამერუნელი თვლის, რომ „ბარსელონა“ ხელწამოსაკრავი არც მის არყოფნაში ყოფილა: „ვერ ვიტყვი, რომ ეტოო გუნდს დააკლდა, უფრო, პირიქით. გიჟივით ვიყავი, თანაგუნდელებთან ერთად მოედანზე გამოსვლა რომ არ შემეძლო. ისინი ყოველთვის კარგად თამაშობდნენ. გოლები თუ ხშირად არ გადის, ეს უკვე ბედის ამბავია. მახსოვს, ერთხელ საშინაო არდადეგებიდან ახალდაბრუნებულებს „ვილიარეალმა“ სამჯერ გაგვიტანა. ასეთი რამეები ხშირად ხდება ფეხბურთში.“

| 23:45 | 794 | გროსჟანი-ო როხუსი | 1.80 | 1.80 |
| 23:45 | 795 | ჯინეფრი-ზვერევი | 1.30 | 3.00 |
| 23:45 | 796 | ნალბანდიანი-ნ ლაპენტი | 1.15 | 4.00 |

# ჯანსაღი ფაჩულიას ჯანსაღი ამბიცია და მეტი აგრესია

ამ სეზონში პირველად მოხდა, ზაზა ფაჩულია თამაშში სათადარიგო სკამიდან რომ ჩაერთო. აქამდე სულ ხუთეულში იყო და მის დასახმარებლად და დასასვენებლად მოედანზე „ატლანტას“ სხვა მეფარეები შედიოდნენ. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ „ბოსტონთან“ სასტარტოში გამწესებულ ცენტრ ლორენც რაიტს ჩვენიანი ენაცვლებოდა ხოლმე და ამის მიზეზად, რა თქმა უნდა, ის ტრავმა ჩავთვალეთ, რომელმაც ზაზას „დეტროიტთან“ წინა მატჩი გამოატოვებინა. „ფეხი აღარ მტკიოდა და მწვრთნელს ვუთხარი კიდეც, სრულ მზადყოფნაში ვარ-მეთქი“ — გვითხრა ზაზა ფაჩულიამ, „ბოსტონთან“ მატჩის დასრულებისას რომ შევეხმიანეთ. დიდი შანსია, ატლანტელთა თავკაცი ზაზას თავიდან მოუფრთხილდა და მოედანზე ხანგრძლივად მაშინ დატოვა, როცა თამაშის ბედი წყდებოდა. ფაჩულიამ ბოლო მეოთხედში დიდებულად ითამაშა, უმნიშვნელოვანესი ბურთები მოხსნა, ჩაჭრა, ჩაყარა და ატლანტელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო




— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ის არ მესიამოვნა, რომ მაიკ ვუდსონმა მხოლოდ 18 წუთი მათამაშა. ამ სეზონში ასე ცოტა ხნით მოედანზე არ ვყოფილვარ, თუ არ ჩავთვლით ერთი კვირის წინ გამართულ მატჩს „ნიუ ორლეანთან“, რომელშიც ტრავმა მივიღე და თამაში ველარ გავაგრძელე.

**— „ბოსტონთან“ ხუთეულში არყოფნისა და მცირე ხნით თამაშის მიზეზიც ალბათ ეგ იყო. ვუდსონი მოერიდა შენს დატვირთვას, რადგან ტრავმირებული იყავი...**

— მართალი გითხრა, არ ვიცი, რატომ არ ვითამაშე ხუთეულში. მზადყოფნაში ვიყავი, მაგრამ... შესაძლოა, მწვრთნელმა მართლაც თავი დაიზღვია და ახლახან კოჭნატკენი ზედმეტად არ დამტვირთა.

**— ისე, ტრამვიანობის არაფერი გეტყობოდა, ჩინებულად ითამაშე...**

— საერთოდ, ასეთი ხასიათი მაქვს: თუ მოედანზე ვარ, ბოლომდე ვიხარჯები. „ბოსტონთანაც“ ყველაფერი გავიღე და დამიფასდა კიდეც. მატჩის კრიტიკულ მომენტში ისე ვითამაშე, როგორც ლიდერს შეეფერება: ქულებიც ვაგროვე და ჩაჭრა-მოხსნებიც მივითვალე. თამაშის დასრულებამდე 2 წამით ადრე ორი საჯარიმოც ჩავაგდე, რამაც ბოსტონელებს იმედები საბოლოოდ გადაუწურა.

**— ეს ბოლო წამზე, საერთოდ კი ათი ცდიდან ათივე საჯარიმო ჩააგდე. ასე ხშირად რატომ ჯარიმდებოდნენ შენზე?**

— ცენტრი ვარ და ჩემთვის უმთავრესი აგრესიულობაა. თანაც ხუთეულში რომ არ დავიწყე და ამანაც დამატებითი სტიმული შემძინა. ბურთს მივიღებდი თუ არა, ეგრევე ფარს ვუტევდი და მეტოქეები ჯარიმებით ცდილობდნენ ჩემს შეჩერებას. საერთოდ, ვინც ფიზიკურად დიდია, იმას უფრო მეტად ეუხეშებიან. ბევრი ჯარიმის სროლა მაშინ არის კარგი, როცა კარგი მიზანი გაქვს. საბედნიეროდ, ცუდად არ ვისვრი, მაგრამ ისეთი სიზუსტე, „ბოსტონთან“ ათიდან ათი რომ ჩავაგდე, არასდროს გამომიჩენია. საჯარიმოების სროლის მხრივ შარშანდელ სეზონშიც პირველი ვიყავი ატლანტელთა შორის.

**— 18 წუთში 12 ქულა ჩინებული შედეგია. ვინ თამაშობდა შენს წინააღმდეგ?**

— მაიკლ ოლოვოკანდი, ბოლო მეოთხედში კი, ძირითადად, ალ ჯეფერსონთან მიწევდა ორთაბრძოლა. ამ უკანასკნელს ჩემზე კარგი სტატისტიკა კი ჰქონდა, მაგრამ მოედანზე დიდი ხნით იყო, თანაც გადამწყვეტ მეოთხედში თავისიანებს ვერ უშველა.

**— ახლახან „ატლანტაში“ უკრაინელი ფორვარდი სტანისლავ მედვედენკო გადმოვიდა, რამაც, ალბათ, მეფარეთა შორის კონკურენცია გაამძაფრა...**

— ამაზე არ ვნერვიულობ, რადგან მედვედენკო მოვიდა და არა შაკილ ონილი. სეზონი დატვირთულია. უამრავი მატჩი გვაქვს და რაც მეტი შემცვლელი იქნება, წამყვან მოთამაშეებს უფრო დიდხანს გაჰყვებათ ძალები.

**— შობას ბრწყინვალე საჩუქარი გაუკეთე საკუთარ თავს: „კლიპერსს“ 22 ქულა ჩაუგდე. სხვათა შორის, ამ სეზონში ამდენი ქულა უკვე მეოთხედ მოაგროვე. ეს 22 რაღაც მისტიკურ, დაუძლეველ ბარიერად ხომ არ გექცა?**

— ისე, ამ 22-ს მართლაც ვერ ავცდი. რა თქმა უნდა, მინდა, 30 და მეტი ქულის გაკეთება, მაგრამ მაღალი მოთამაშისთვის ეს ძალიან ძნელია. „კლიპერსთან“ კი მართლაც კარგად გამომივიდა. ჯო ჯონსონს ჰქონდა 27 ქულა, მე — 22, დანარჩენები ათქულიან ზღვარსაც ვერ ასცდნენ. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ ბევრი დროა და იმედად მაქვს, პირად რეკორდსაც გავაუმჯობესებ, რომელიც 26 ქულას შეადგენს.

**— რეგულარულის დასრულებამდე რატომ, პლეი ოფში გასვლის იმედი აღარ გაქვთ?**

— როგორ არ მაქვს, მაგრამ რეკორდის გაუმჯობესებაზე რეალურად რეგულარულში ვფიქრობ.

**— ოლ სტარის გამოკითხვა 5 დღეში სრულდება. შენ მე-5 ადგილზე ხარ აღმოსავლეთ კონფერენციის ცენტრებს შორის და დაახლოებით 200 ათასი ხმა გაქვს. ელოდი ასეთ შედეგს?**

— ნამდვილად არ ველოდი. ჩემი თანამემამულეების ერთგულ ქომაგობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ეჭვი არ მეპარება, ამ ხმების 80 პროცენტი საქართველოდან მივიღე. თბილისიდან ხშირად მირეკავენ მეგობრები, რომლებიც მეუბნებიან, ჩვენთვის დღე nba.com-ზე შესვლით და შენთვის ხმის მიცემით იწყებაო, მარტო ჩვენ კი არა, მთელი სამსახური ასეაო. დიდი მადლობა ყველას, რომ ერთგულად მიჭერენ მხარს. ოლ სტარში თამაში ჩემი ოცნებაა და დიდი იმედი მაქვს, ავიხდენ.

**— ქართველი ჟურნალისტების წლიურ გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავე. რამდენად სამართლიანად მიგაჩნია ეს შედეგი?**

— მადლობელი ვარ, რომ მესამე ადგილი მერგო, თუმც ეს მომავალში არავის ემახსოვრება. არის პირველი და არის სხვა დანარჩენი. ისტორიას საუკეთესო შემორჩება და არავინ იტყვის, ფაჩულიამ 2006 წელს მესამე ადგილი დაიკავაო. ყველაფერს ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ ვაკეთებ და, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად თუ დამასახელებენ. ჯერ ყველაფერი წინაა.

**— ახლა ის გვითხარი, ახალ წელს როგორ შეხვდი?**

— 31-ში სან ანტონიოში ვითამაშეთ და ატლანტაში ღამის თორმეტის ნახევარზე დავბრუნდით. სახლებში მისვლას ვერ ვასწრებდით და მთელი გუნდი ერთად წავედით რესტორანში ახალი წლის შესახვედრად და აღსანიშნავად. ახალი წლის ღამეს საქართველოში ყოფნა ვინატრე, მაგრამ... ფეხბურთელებისგან განსხვავებით, არ გამიმართლა, ნბა-დან ერთი დღითაც ვერ გათავისუფლდები. ახალ წელს ტელეფონით ველაპარაკე ლევან კობიაშვილს და ალექსანდრე იაშვილს, რომლებიც თბილისში იყვნენ ოჯახთან ერთად. მე ალბათ ზაფხულში, საქართველოში რომ ჩამოვალ, მაშინ მომიწევს ჯერ ლა დღესასწაულის, მათ შორის ჩემი დაბადების დღის აღნიშვნაც.

**ირაკლი პერტაია**

# რუსთაველი იანვარი
## ჯერ მემორიალი, მერე თასი

**საქართველოში** საკალათბურთო სეზონი დღეს განახლდება — რუსთავში ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირი დაიწყება, რომელშიც ყველა ის გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ.

გუშინ კაფე „მსოფლიოო სპორტში“ ამ ტურნირის პრეზენტაცია გაიმართა. მას გუნდების მწვრთნელები დაესწრნენ და მცირე კომენტარების შემდეგ სრულიად სხვა ტურნირის, საქართველოს თასის კენჭისყრაში მიიღეს მონაწილეობა.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალი 17-დან 21 იანვრამდე გაიმართება რუსთავში, ხოლო 26-დან 29 იანვრამდე იგივე გუნდები, იმავე ქალაქში, იგივე სატურნირო ფორმატით, საქართველოს თასს გაითამაშებენ.

მაშ ასე, თასისთვის საბრძოლველად გუნდები ორ ჯგუფში ასე განაწილდნენ. პირველში „აზოტი“, „დინამო“ და თსუ, ხოლო მეორეში — „ავიამშენი“, „მაკაბი“ და სტუ. თასის გათამაშების კალენდარი კალათბურთის ფედერაციას ჯერ არ გამოუქვეყნებია, ხოლო ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ჯგუფებსა და თამაშების განრიგს აქვე გთავაზობთ.

**ირაკლი პერტაია**

| I ჯგუფი | II ჯგუფი |
|---|---|
| აზოტი, დინამო, სტუ | თსუ, მაკაბი, ავიამშენი |

*ჯგუფებში გამარჯვებულები ფინალში ითამაშებენ*

**17 იანვარი**
15:00 **თსუ — მაკაბი**
17:00 **დინამო — სტუ**

**18 იანვარი**
15:00 **ავიამშენი — თსუ**
17:00 **აზოტი — დინამო**

**20 იანვარი**
15:00 **ავიამშენი — მაკაბი**
17:00 **სტუ — აზოტი**

**21 იანვარი**
15:00 **ფინალი**




რუსთაველი ქომაგები ლეგენდარულების, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალს ნახავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნეშის თქეში

## ამერიკა კანადელმა წალეკა





სად ნეში და სად ჩვენ ყველანი! ჯილბერტ არენასმა უძვირფასესის წოდება ისევ სტივ ნეშს დაუთმო

16 იანვარი

**ატლანტა 100:96 ბოსტონი**

ატლანტა: აივი (6), ჯონსონი (18), მ. უილიამსი (8), სმიტი (18 ქულა, 7 დაფარება, 5 ჩაჭრა), რაიტი (5); ჩილდრესი (23 ქულა, 14 მოხსნა), ფაჩულია (18 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), სტუდემაიერი (8), შ. უილიამსი (2)
ბოსტონი: ტელფაირი (13), გრინი (22), გომესი (12), ჯეფერსონი (18 ქულა, 17 მოხსნა), პერკინსი; რეი (22), რონდო (9), ოლოვოკანდი, პოუი

**ვაშინტონი 114:111 იუტა**

ვაშინგტონი: არენასი (51), ბატლერი (21)
იუტა: ოქური (38), ბუზერი (27 ქულა, 13 მოხსნა), უილიამსი (12 ქულა, 13 პასი)

**მემფისი 122:137 ფინიქსი**

მემფისი: მილერი (25), გასოლი (23 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), სტუდემაიერი (17)
ფინიქსი: სტუდემაიერი (42), ბელი (25), მერიონი (22 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (12 ქულა, 15 პასი)

**ლეიკერსი 124:118 მაიამი**

*ძირითადი დრო 110:110*

ლეიკერსი: კუკი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბრაიანტი (25), პარკერი (17)
მაიამი: უეიდი (35), ჰასლემი (20 ქულა, 11 მოხსნა)

**დეტროიტი 90:94 მინესოტა**

*ძირითადი დრო 79:79*

დეტროიტი: ჰამილტონი (32), მაკდაიესი (16)
მინესოტა: დევისი (21), გარნეტი (19 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ იორკი 102:97 საკრამენტო**

ნიუ იორკი: მარბერი (25), კარი (24 ქულა, 10 მოხსნა)
საკრამენტო: მარტინი (30), აბდურ-რაჰიმი (25)

**შარლოტი 91:99 მილუოკი**

შარლოტი: კეროლი (22), ოკაფორი (17 ქულა, 12 მოხსნა)
მილუოკი: ბოიკინსი (30), ბოგუტი (27 ქულა, 10 მოხსნა)

**ფილადელფია 86:104 ტორონტო**

ფილადელფია: იგუდალა (15)
ტორონტო: ბოში (27), გრემი (18), ფორდი (13 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ჯერსი 105:95 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: კარტერი (31), კიდი (19 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), მური (19)
ინდიანა: ჰარინგტონი (18), ონილი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 108:93 კლიპერსი**

გოლდენ სტეიტი: ელისი (24), დევისი (19 ქულა, 13 პასი), დანლივი (18 ქულა, 13 მოხსნა)
კლიპერსი: ბრენდი (19 ქულა, 13 მოხსნა), მაგეტი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ჩიკაგო 99:87 სან ანტონიო**

ჩიკაგო: ჰაინრიხი (23 ქულა, 10 პასი), გორდონი (20)
სან ანტონიო: ჯინობილი (22), დანკანი (21 ქულა, 16 მოხსნა)

**პროგრესზე** და კრიზისის დაძლევაზე საუბარი ნაადრევია, თუმც მაინც სასიამოვნოა, რომ ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" 3-10 ნოემბერს ზედიზედ 4 მოგების შემდეგ ახლა პირველად მიაბა გამარჯვება გამარჯვებას — „დეტროიტს" „ბოსტონიც" მიაყოლა. და კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ამ გამარჯვებებში შესამჩნევი წილი „ჰოქსის" ქართველმა ცენტრმა დაიდო.

ფაჩულიამ „დეტროიტთან" შეხვედრა კოჭის მსუბუქი ტრავმის გამო გამოტოვა და ჩანს, ბოლომდე არაა მოკეთებული, რაკილა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა სასტარტო ხუთეულში დატოვა ჩვეულებრივ ზაზას შემცვლელი ლორენცენ რაიტი. ჭარმაგ რაიტს ციდან ვარსკვლავები და ფარიდან ქულა-მოხსნები არ უკრეფია, 19 წუთში 5 ქულა გააკეთა. შეცვლაზე შესულმა ფაჩულიამ კი 18 წუთში ბევრად მეტი მოასწრო. ვუდსონი ქართველი ცენტრის დიდად დატვირთვას არ აპირებდა და 3 მეოთხედში რამდენიმე წუთით ათამაშა, მაგრამ როდესაც „ბოსტონმა" მესამე მეოთხედიდან 14-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა იწყო, „ქორების" „ბაზიერი" იძულებული შეიქნა, ბრძოლის ველზე მთავარი ძალები შეეყვანა. ბოლო მეოთხედში ფაჩულიამ მეტოქეებს არაერთი ჯარიმა აჰკიდა და თავისი გუნდის მოიერიშეები ამოასუნთქა. მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრეც, „ატლანტა" მხოლოდ 2 ქულით რომ იგებდა, ზაზამ ორი საჯარიმო ჩააგდო, „ქორები" 4 ქულით წასწია წინ და „ატლანტას" ზედიზედ მეორე გამარჯვება დაუბევა. აღსანიშნავია, რომ 211-სანტიმეტრიან ქართველ ცენტრს იმ საღამოს საჯარიმო არ აუცილებია, 10 ტყორცნიდან 10 ჩააგდო.

ატლანტიდან რამდენიმე ასეული მილის მოშორებით, ელვის პრესლისა და თეთრი როკენროლის მშობელ მემფისში კიდევ ერთი ევროპელი მეფარე ბობოქრობდა. „მემფის გრიზლიზის" ესპანელმა ლიდერმა პაუ გასოლმა ფაჩულიას დარად 10-დან 10 ტყორცნა ჩააგდო, ოღონდ არა საჯარიმოები, არამედ ორქულიანები (მერე ერთი სამიანი ააცილა), მაგრამ სულ ტყუილად იწვალეს მანაც და მისიანებმაც, „მემფისი" პირდაპირ ჩაყლაპა „ფინიქსის" გაუმაძღარმა შეტევამ. ფინიქსელთა ცენტრმა ამარე სტუდემაიერმა იმის დასტურად, რომ ბოლომდე გამოვჯანმრთელდიო, 42 ქულა დააზვავა და თანაც ფინიქსელთაგან ის ერთადერთი არ გახლდათ, ვინც ქულათა სოლიდური ოდენობა მოინაგრა. თავისთავად, ძალიან ბევრი პასი გააკეთა არიზონელთა სუპერგამთამაშებელმა სტივ ნეშმა. ჯამში „ფინიქსს" 137 მოუგროვდა. მოკლედ, „მემფისი" ამ მოუხელთებელ გუნდს გადარბენა-გადმორბენებში და აცაბაცა ბურთაობაში სულ ტყუილად აჰყვა და, რა თქმა უნდა, დამარცხდა, „ფინიქსმა" კი ზედიზედ მე-10 გამარჯვება ჩაიწერა.

თითქმის „ფინიქსივით" უხვქულიანმა და შეტევის მოყვარულმა „ვაშინგტონმაც" მორიგი მოგება ჩაიქტივა, ოღონდ უფრო დაძაბულ ბრძოლაში, რაკილა მეტოქე სერიოზული ჰყავდა — დასავლეთის ერთ-ერთი სოლიდური გუნდი „იუტა ჯაზი". „ვაშინგტონის" სუპერბომბარდირმა ჯილბერტ არენასმა მორიგი ზღაპრული მატჩი ჩაატარა — 12 სამქულიანიდან 7 ჩააგდო, 17 ორიანიდან ასევე 7 ჩააკალათა, 17 საჯარიმოდან 16 გამოიყენა და სულ 51 ქულა გამოუვიდა. ამ სეზონში არენასი უკვე მესამედ ასცდა 50-ქულიან ნიშნულს. ამასთან მან ბოლო სამქულიანი ზედ საფინალო სირენის თანხლებით ჩააგდო, როცა ტაბლოზე 111:111 ანგარიში ციაგებდა და ყველა და ყველაფერი დამატებითი დროისკენ მიდიოდა. ვაშინგტონელმა ქომაგებმა არენასი M-V-P, M-V-P-ს სკანდირებით გაისტუმრეს მოედნიდან.

„MVP? — გაოცებული უბრუნებს ჟურნალისტს კითხვას არენასი — უძვირფასესის ტიტულს სეზონის ბოლოს იძლევიან, ჩვენ კი ჯერ ნახევარი რეგულარულიც არ გაგვივლია. ისე, სადღეისოდ სტივ ნეში ყველაზე ერთი თავით მაღლა დგას. შარშან კობი ბრაიანტმა ერთ თამაშში 81 ქულა გააკეთა, საშუალოდ კი 35-ს აგროვებდა. მან ვერ წაართვა ნეშს უძვირფასესის ტიტული და მე როგორ უნდა მოვახერხო? არა რა, ჩვენ, დანარჩენებმა რაღაც ახალი უნდა მოვიგონოთ და გავაკეთოთ, ნეშს რომ ვაჯობოთ."

შაკილ ონილის გარეშე დარჩენილი „მაიამი" თითქოს ცოტა მოფერიანდა და ჩემპიონის საკადრისი გაქანებით და იერით დაიწყო მეტოქეების მუსვრა, ზედიზედ ოთხი თამაშიც მოიგო და... ისევ შაკილ ონილის ყოფილმა გუნდმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" გადაუღობა გზა. „მაიამის" პირველმქულე დუეინ უეიდმა აშკარად აჯობა ლეიკერსელ კობი ბრაიანტს, მაგრამ რაკილა თანაგუნდელთაგან შედარებით ნაკლები შეწევნა მიიღო, თამაში აბსოლუტურად თანაბარი გამოვიდა და დამატებით დროში გადავიდა. აქ კი გამოფხიზლდა ბრაიანტი — ოვერტაიმში 6 ქულა ჩააგდო და 5-წუთეული 14:8 მოაგებინა „ლეიკერსს".

რაც შეეხება თავად და ბატონ შაკილ ონილს, ლიგის ყველაზე წონიანმა მოთამაშემ აგერ, ზედიზედ 31-ე თამაში გამოტოვა და სათადარიგოთა სკამიდან თუ ამხნევებდა თანაგუნდელებს ყოფილებთან თამაშში. დევშაკმა ვარჯიში უკვე დაიწყო და ამბობს, ამ თუ არა იმ კვირაში აუცილებლად დავბრუნდები მოედანზეო.

**ბოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 18 | 21 | 46,2 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 20 | 45,9 |
| ნიუ იორკი | 17 | 22 | 43,6 |
| ბოსტონი | 12 | 25 | 32,4 |
| ფილადელფია | 10 | 28 | 26,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 23 | 13 | 63,9 |
| დეტროიტი | 21 | 15 | 58,3 |
| ჩიკაგო | 22 | 17 | 56,4 |
| ინდიანა | 20 | 18 | 52,6 |
| მილუოკი | 17 | 20 | 45,9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 22 | 16 | 57,9 |
| ვაშინგტონი | 21 | 16 | 56,8 |
| მაიამი | 17 | 20 | 45,9 |
| ატლანტა | 12 | 23 | 34,3 |
| შარლოტი | 12 | 24 | 33,3 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 31 | 8 | 79,5 |
| სან ანტონიო | 27 | 12 | 69,2 |
| ჰიუსტონი | 25 | 13 | 65,8 |
| ნიუ ორლეანი | 14 | 22 | 38,9 |
| მემფისი | 9 | 30 | 23,1 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 24 | 14 | 63,2 |
| მინესოტა | 20 | 16 | 55,6 |
| დენვერი | 18 | 17 | 51,4 |
| პორტლენდი | 15 | 24 | 38,5 |
| სიეტლი | 14 | 25 | 35,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 29 | 8 | 78,4 |
| ლეიკერსი | 25 | 13 | 65,8 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 20 | 48,7 |
| კლიპერსი | 17 | 21 | 44,7 |
| საკრამენტო | 14 | 21 | 40,0 |




## სახლში მინდა! ბებერი ვებერის ვნებანი

**ბოლო** ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი კრის ვებერი ფესვებს უბრუნდება. დეტროიტში დაბადებულ-გაზრდილ-განათლებულმა ვებერმა ნბა-ში 13 წელიწადში ოთხ გუნდი მოითამაშა და ახლა 33 წლის ასაკში მიდის მშობლიურ ქალაქში.

„ფილადელფიიდან" გამოშვების (გამოგდების) შემდეგ ვეტერანი თავისუფალი იყო არჩევანში და არაერთი რიგიანი გუნდიც ეპატიჟებოდა, მაგრამ მან მხოლოდ „დეტროიტ პისტონზთან" დაიჭირა საქმე და სულ მალე ამ გუნდთან გააფორმებს კონტრაქტს.

„დიდი მადლობა ყველა გუნდს, რომელიც ჩემით დაინტერესდა, მაგრამ ოჯახთან და ახლობლებთან თათბირის შემდეგ ჩემს ქალაქში დაბრუნება გადავწყვიტე. დიახ, ეს ჩემი ქალაქია, „პისტონზი" კი გადასარევი გუნდია და ჩემს ახალ თანაგუნდელებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, მეოთხე ჩემპიონობა რომ მოვაპოვებინო" — ამბობს ის.

რაღა თქმა უნდა, „კარიერის დაისზე ბებერი ვებერი ძველებურად ვერ ყოჩაღობს და „ფილადელფიაშიც" ახალგაზრდა თანაგუნდელების დაცოფვის გარდა არაფერს აკეთებდა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის მაინც „პისტონზის" ძირითად ხუთეულში დაიჭერს ცენტრის ადგილს, რომელიც ბენ ვოლესის „ჩიკაგოში" გადასვლის შემდეგ არცთუ მყარად ეკავა ნაზრ მუჰამედს.

# გადახურეთ!

## შარაპოვას სიცხემ თავი გაუხურა




AFP მელბურნიდან

**წლევანდელი** ავსტრალიის ღია პირველობა ჯერჯერობით ფავორიტების წვალებისა და რანგით დაბლა მდგომი ჩოგნის მქნეველთა მიერ განიავებული შანსების ფონზე მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ, ორი სათამაშო დღის განმავლობაში მარტო ერთი ასე თუ ისე ხმაურიანი სენსაცია დაფიქსირდა — ივან ლიუბიჩიჩი გავარდა, თორემ სხვა მხრივ მცირე მოულოდნელობებიც კი დიდი იშვიათობაა.

გუშინაც შეიძლებოდა, ერთბაშად რამდენიმე ბობოლა დამშვიდობებოდა მწვანე კონტინენტს, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ყველამ მოახერხა და მეორე წრემდე მიღწევა.

ტყუილად არ წუწუნებდა მარია შარაპოვა, ავსტრალიურ სიცხეებს ვერ ვეგუებიო — წაგებას ვინ ჩივის და აუტანელი ბულის გამო რუსი პრიმა კინაღამ ცუდად გახდა კორტზე. ისე, სიცხემ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ორგანიზატორთა გეგმებში — ამის გამო მხოლოდ დილისა და საღამოს სესიები გაიმართა და ქალთა ტურნირზე ბლომად თამაშები გადაიდო.

თავისდა საუბედუროდ, შარაპოვა იმ უიღბლოთა რიცხვში აღმოჩნდა, ვინც კორტზე დილას გავიდა და თაკარა მზის ქვეშ მოუწია თამაში. მაგრამ სიცხე იქით იყოს და საქმე რომ კინაღამ წაგებამდე მიიყვანა, მთლიანად მაშას „დამსახურებაა“, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში საკუთარ თავს პრობლემებს „წარმატებული“ უქმნიდა — კამილ პინი ხომ არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებდა. და საერთოდ, ფრანგის თამაშს თამაში ძნელად დაერქმეოდა, რადგანაც პინი მხოლოდ ბურთის მოგერიებაზე იყო გადასული და შეხვედრაში ხეირიანი კომბინაციაც კი არ გაუკეთებია.

არადა, შარაპოვასთვის ყველაფერი კარგად დაიწყო და პირველი სეტი საკმაოდ იოლად მოიგო. სამაგიეროდ, მეორე პარტიაში მაშამ იმდენი უნებლიე შეცდომა მიაყოლა ერთმანეთს, რომ პინს ანგარიში გაათანაბრებინა.

როგორც ჩანს, რუსი პრიმა სეტის წაგებამ მაგრად გააბრაზა და გადამწყვეტი პარტია გიჟურ ტემპში დაიწყო, რის გამოც მალე 5:0 დაიწინაურდა. აქ თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ... შარაპოვამ ამ უპირატესობის განიავებაც „მოახერხა“. ამ დროისთვის კი ჩოგბურთელებს კორტზე უკვე ორსაათნახევარი გაეტარებინათ და მაშასაც დაეტყო, რომ ცუდად იყო. რუსი თითქმის გაითიშა — მოგეხსენებათ, გადამწყვეტ სეტში სლემტურნირებზე (აშშ-ს ღია პირველობის გარდა) ტაიბრეიკი არ თამაშდება. მაშას ეს წესი სულაც გადაავიწყდა და მხოლოდ მთავარი მსაჯის რამდენიმე შეხსენების შემდეგ მიხვდა, რომ საჩოგბურთო ლატარიას არ თამაშობდა. პინი ძალიან ახლოს იყო ტურნირის უმთავრესი სენსაცია რომ გამოეცხო — ამისთვის ერთი გეიმილა უნდა მოეგო, ისიც თავის მოწოდებაზე, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. ხოლო სამედიცინო ტაიმაუტისა და ცივი პირსახოცების დახმარებით მაშა ცოტა გონს მოვიდა და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

„ჩემი აზრით, არაადამიანობაა ასეთ სიცხეში ჩოგბურთელები სამი საათი ათამაშო. ვერ გავიგე, კორტი რატომ არ გადახურეს... ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, უბრალოდ, ველარ ვაანალიზებდი, სად ვიყავი და რა უნდა მეკეთებინა. თუმც წუთიცაც არ მიფიქრია, მატჩის შეწყვეტაზე — მე ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი, აქაც ასე მოვიქეცი და გამიმართლა კიდეც“ — პრესკონფერენციაზე შარაპოვას ადამიანის სახე დაბრუნებოდა.

კიმ კლაისტერსმა კი ყველას და მათ შორის შარაპოვასაც ნათლად დაანახვა, თუ როგორ უნდა ითამაშოს ფავორიტმა საწყის ეტაპებზე — ფუმფულა ბელგიელმა საცოდავი, თავის პირველ სლემტურნირზე მოთამაშე ვასილისა ბარდინა მოიხელთა და ნულზე მოუგო. კარგად დაიწყო მარტინა ჰინგისმაც, რომელსაც ოდნავადაც არ გასჭირვებია ნატალი დეშის წაქცევა.

სენსაციის სუნი კაცების შეჯიბრშიც ტრიალებდა, მაგრამ ფავორიტებმა შეძლეს და თავი დაიძვრინეს. თავიდან წაგებასთან ახლოს დავიდ ნალბანდიანი იყო, რომელმაც იანკო ტიპსარევიჩთან პირველი ორი სეტი წააგო. მაგრამ არგენტინელი ის კაცია, რომელსაც ყურების ჩამოყრა არ სჩვევია და არც ასეთი „მკვდარი“ შეხვედრების გადარჩენაა მისთვის უცხო ხილი. მესამე პარტიაში პატაგონიელმა სამი მატჩპოინტი გაანეიტრალა, თანდათანობით ხელთ იგდო უპირატესობა და მალე ანგარიშიც გაათანაბრა. გადამწყვეტი სეტი კი ისევ იმ წყეული სიცხისგან გათანგულმა სერბმა ველარ ჩაამთავრა და ნალბანდიანის წინ გაატარა.

მაგრად ინერვიულეს მასპინძლებმაც, რადგანაც ოზთა უმთავრესმა იმედმა ლეიტონ ჰიუიტმა უსაზიზღრესად დაიწყო თითქმის უცნობ მაიკ რასელთან და ნალბანდიანისა არ იყოს, ორი სეტი წააგო. თუმც მაყურებელთა ხმაურიანი და გიჟური მხარდაჭერით გულმოცემულმა ჰიუიტმა ნელ-ნელა გამოასწორა თამაში და მატჩის დაწყებიდან სამსაათნახევრის თავზე ტრიბუნები აღფრთოვანებაში მოიყვანა.

ფავორიტებიდან ჯერჯერობით ყველაზე დამაჯერებელი თამაში რაფაელ ნადალმა და ჯეიმს ბლეიკმა აჩვენეს. ესპანელ ვარსკვლავბიჭუნას რობერტ კენდრიკთან შეხვედრაში ტრავმისა არაფერი ეტყობოდა — მალიორკელი დიდებულ ფიზიკურ ფორმაშია და თანდათანობით თუ მოუმატა, ვინც უნდა ის დაუდგეს და ეძახოს, ჰარდზე კარგად ვერ თამაშობო.

ბლეიკმა კი ბოლო ოთხ დღეში მეორედ მოუგო კარლოს მოიას, თან ამჯერად კიდევ უფრო დამაჯერებლად. უნდა აღინიშნოს ენდი მიურეის ჩაუქრობაც, რომელმაც ალბერტო მარტინს ბულდოზერივით გადაუარა და მხოლოდ კინკილა გეიმი დაუთმო.

**კახა ლომაშვილი**



რაფაელ ნადალი

AFP მელბურნიდან

16 იანვარი

### კაცები

### პირველი წრე

**დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:7 4:6 7:6 6:0 2:1 (უარი); **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ალან მაკინი (ბრიტანეთი) 6:4 6:4 6:2; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 3:6 7:5 7:5 6:7 9:7; **სებასტიან გროჟანი** (28, საფრანგეთი) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 6:2 4:1 (უარი); **ფლორინ მაიერი** (გერმანია) — რობინ სოდერლინგი (23, შვედეთი) 3:6 6:4 3:6 6:4 6:0; **ანდრეა სეპი** (იტალია) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:1 6:7 6:7 7:6 6:3; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 6:4 7:6 3:6 6:4; **ტომი ჰაასი** (12, გერმანია) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 7:5 6:1 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) 6:1 6:2 6:2; **რობერტ სმიტსი** (ავსტრალია) — ლუკაშ ლაცკო (სლოვაკეთი) 6:2 3:6 6:1 6:4; **მაქს მირნი** (ბელორუსია) — ლუის ჰორნა (პერუ) 7:6 3:6 2:6 6:4 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (21, რუსეთი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 5:7 6:4 6:3 6:4; **არნო კლემანი** (28, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3 3:6 7:5 6:4; **ფაბრის სანტორო** (28, საფრანგეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 7:6 6:3 6:0; **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:0 4:6 6:2 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (3, რუსეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:2 7:5 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 6:2 6:4; **ალექს კუზნეცოვი** (აშშ) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 6:4 5:7 6:7 6:1 6:4; **ილია ბოზოლიაცი** (სერბეთი) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 6:2 6:4 6:1; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ნიკოლას ალმაგრო (32, ესპანეთი) 4:6 6:2 4:6 7:5 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (19, ავსტრალია) — მაიკლ რასელი (აშშ) 3:6 2:6 6:3 6:3 6:3; **ფრანკ დანსევიჩი** (კანადა) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:3 6:3 7:6; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:3 6:3 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:7 7:6 6:3 6:2; **ენდი მიურეი** (15, ბრიტანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:0 6:0 6:1; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 6:7 4:6 6:6 (უარი); **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — პოტატო სტარაჩე (იტალია) 7:6 6:4 6:4; **იარკო ნიემინენი** (17, ფინეთი) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 5:7 6:2 7:6 6:4; **სტანისლას ვავრინკა** (31, შვეიცარია) — კევინ კიმი (აშშ) 6:1 2:6 6:4 6:2; **პოლ კაპდევილია** (ჩილე) — ჟულიენ ბენეტო (28, საფრანგეთი) 4:6 6:7 6:2 6:1 6:2; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 5:7 6:3 6:2 6;4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 6:3 6:2

### ქალები

### პირველი წრე

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:3 4:6 9:7; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:3 6:1; **მეგან შონესი** (აშშ) — რენატა ვორაცოვა (ჩეხეთი) 7:5 6:3; **ტატიანა გარბინი** (31, საფრანგეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 3:6 6:2 6:1; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — ვარვარა ლეპშენკო (უზბეკეთი) 5:7 6:3 6:2; **ანა ივანოვიჩი** (13, სერბეთი) — ვანია კინგი (აშშ) 6:2 6:0; **ანა ჩაკვეტაძე** (12, რუსეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:4 7:5; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) 6:2 6:3; **ელენა კოსტანიჩ-ტოშიჩ** (ხორვატია) — სოფი ფერგიუსონი (ავსტრალია) 7:5 6:3; **სამანტა სტოსური** (24, ავსტრალია) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:3 6:1; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — ფლავია პენეტა (28, იტალია) 7:5 7:6; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:2 7:6; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:0 6:0; **აიკო მორიგამი** (იაპონია) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 7:5 2:6 6:4; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:7 6:4 6:0; **ალონა ბონდარენკო** (29, უკრაინა) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:1 7:6; **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — ელენი დანილიდუ (32, საბერძნეთი) 6:4 6:0; **სანია მირზა** (ინდოეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:3 7:5; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — ემა ლეინი (ფინეთი) 4:6 6:2 9:7; **მარტინა ჰინგისი** (6, შვეიცარია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:0 6:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსები თბილისს ვერ გადაურჩნენ

## ერთა თასი თებერვლიდან ნოემბრამდე გაიჭიმა

**ორი კვირაზე** ოდნავ მეტი და წლევანდელი სანაკრებო სეზონიც გახურდება. 3 თებერვალს საქართველოს ნაკრები რუმინეთს ეწვევა და ექვსი ერის მერე რანგით მეორე ევროტურნირი სწორედ ჩვენებისა და კარპატელების ჯახით დაიწყება.

აქამდე ისე იყო, რომ ერთა თასის ყველაზე მსუყე ლუკმას, საქართველო — რუმინეთის ჯახს ევროპის რაგბის ფედერაცია ბოლოსთვის ინიხავდა, მაგრამ წლეულს ისეა, რომ საქართველო და რუმინეთი შარშანვე გავიდნენ მსოფლიოს თასზე, პორტუგალიელებს კი რეპეშაჟი დარჩათ სათამაშო და მათი ინტერესების გათვალისწინებით საერთათასო კალენდარი შეიცვალა. ახლა ასეა: ერთა თასი სამ თვის ნაცვლად მთელ წელზე გაიჭიმა და მსოფლიოს თასის შემდეგ ნოემბერშილა დასრულდება.

ერთი სიტყვით, ევროპული რაგბის მამების გადაწყვეტილებით, ბეჭედდასმული ამბავი ასეთია: მსოფლიოს თასზე ზედიზედ მეორედ გასული ქართველი „ლელოები“ წლევანდელ ერთა თასზე სამ მატჩს შინ ითამაშებენ და ორსაც სტუმრად. საგარეო მატჩებს ჩვენები რუმინეთთან და ესპანეთთან გამართავენ, რომელიც მაჩანჩალა უკრაინას ჩაენაცვლა.

გადამწყვეტი ალბათ სწორედ 3 თებერვლის რუმინეთი — საქართველო იქნება, რაკიღა ორი წლის წინანდელი ჩემპიონი პორტუგალია იმის მერე აღარც საქართველოს მომრევი ჩანს და აღარც რუმინეთისა. თანაც წლეულს გაზაფხულზე ორ ფრონტზე, მსოფლიოს თასის რეპეშაჟში და ერთა თასზე ერთდროულად საომრად ძალაც არ ეყოფა.

ერთიც, წესით, წლეულს საქართველო-რუსეთს უნდა სწვეოდა, რაკი შარშან თბილისში ერაგბა და ახლა მასპინძლობა მეზობლებს ეკუთვნოდათ, მაგრამ კალენდრის შეცვლამ სტუმარმასპინძლობის პრინციპიც შეცვალა და რუსეთს ჩვენები მარტში მიიღებენ.

**ბაჩო სვანიძე**

**ერთა თასი 2007**

3 თებერვალი
რუმინეთი — საქართველო
პორტუგალია — ესპანეთი
10 თებერვალი
ესპანეთი — რუსეთი
10 მარტი
რუმინეთი — ესპანეთი
17 მარტი
ესპანეთი — საქართველო
ჩეხეთი — რუმინეთი
24 მარტი
საქართველო — რუსეთი
7 აპრილი
საქართველო — ჩეხეთი
21 აპრილი
რუსეთი — ჩეხეთი
5 მაისი
ჩეხეთი — ესპანეთი
12 მაისი
პორტუგალია — რუსეთი
19 მაისი
ჩეხეთი — პორტუგალია
23 ივნისი
საქართველო — პორტუგალია
10 ნოემბერი
რუმინეთი — რუსეთი
10 ნოემბერი
პორტუგალია — რუმინეთი



ერთა თასი საქართველოსა და რუმინეთის ჯახით გაიხსნება

---

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

15 იანვარი

**აილენდერსი 3:4 ტამპა**
*1:2 0:1 2:1*
1:0 იაშინი (4), 1:1 პროსპალი (7), 1:2 რიჩარდსი (10), 1:3 სენ ლუი (36), 2:3 კოზლოვი (42), 2:4 ლეკავალიე (48), 3:4 ჰანტერი (51)

**ფინიქსი 5:4 სენტ ლუისი**
*2:0 1:2 1:2 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 პერო (3), 2:0 რენიკი (15), 2:1 ბეკმანი (24), 2:2 დვორჟაკი (26), 3:2 ჯოვანოვსკი (40), 3:3 უაიდმენი (54), 4:4 ჯოვანოვსკი (57), 4:4 სეინა (59)

**ნეშვილი 5:3 კალგარი**
*1:2 1:0 3:1*
1:0 ერატი (5), 1:1 ლენგკოუ (18), 1:2 ჰუსელიუსი (20), 2:2 არნოტი (36), 3:2 სუტერი (43), 4:2 ლეგვანდი (44), 4:3 ჰუსელიუსი (58), 5:3 ჰარტნელი (60)

**დეტროიტი 2:0 მონრეალი**
*1:0 0:0 1:0*
1:0 გუდლერი (10), 2:0 დაციუკი (55)

**ბოსტონი 3:2 ბუფალო**
*2:2 0:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 სავარი (4), 1:1 როი (6), 1:2 ხეხტი (10), 2:2 აქსელსონი (20)

**დალასი 3:1 ლოს ანჯელესი**
*1:0 1:1 1:0*
1:0 ბარნსი (17), 2:0 ჰაგმანი (28), 2:1 კამალერი (30), 3:1 დეილი (47)

**სან ხოსე 3:1 კოლორადო**
*2:0 0:0 1:1*
1:0 ჩიჩუ (8), 2:0 მარლო (10), 2:1 საკიკი (48), 3:1 ტორნტონი (49)

# სკანდინავიური სამეული



დანიელ ალფრედსონი

**ნჰლ-ის** მორიგი კვირის ვარსკვლავური სამეული მთლიანად სკანდინაველებმა დააკომპლექტეს. საუკეთესოდ „ოტავას“ კაპიტანი დანიელ ალფრედსონი დაასახელეს, რომელსაც ორი ფინელი — „კალგარის“ კარის დარაჯი მიკა კიპრუსოფი და „ფლორიდას“ კაპიტანი ოლი იოკინენი მიჰყვება.

ჯეისონ სპეცას არყოფნაში ალფრედსონმა დენი ჰიტლისთან ერთად ითავა გუნდის ლიდერობა. ჰიტლი წინა კვირას იყო ვარსკვლავებში, გასულ შვიდდღეულში კი ალფრედსონმა იჩაუქა — სამ შეხვედრაში 9 ქულა (3+6) დააგროვა. „სენატორების“ შვედი კაპიტანი მაინდამაინც კარგ სეზონს ვერ ატარებს, მაგრამ ამ ბოლო დროს აშკარად მოუმატა და ეს „ოტავასაც“ დაეტყო, რომელიც საპლეიოფო ზონაში დაბრუნდა.

კიპრუსოფი ჯერომ იგინლას არყოფნას მაქსიმალურად ანეიტრალებს და თავისი მხრებით მიათრევს „კალგარის“. გასული სეზონის საუკეთესო კიპერმა წინა კვირას სამი თამაში მოაგებინა „ალებს“, რომლებშიც საშუალოდ, მხოლოდ 1,33 შაიბას უშვებდა და დარტყმების 94,9 პროცენტს იგერიებდა.

იოკინენი კი „ფლორიდას“ თითქმის ერთადერთი ნათელი წერტილია. „პანტერების“ ფინელი კაპიტანი წინა კვირაშიც ჩვეულად ჩაუქობდა და მისი დიდი დამსახურებაა, ფლორიდელებმა სამიდან ორ შეხვედრაში რომ იხეირეს. თვითონ იოკინენმა 6 ქულა (5+1) მოინაგრა, განსაკუთრებით კი „პიტსბურგი“ დაჩაგრა, რომელთანაც სეზონში უკვე მეორე ჰეთ თრიქი შეასრულა.

**კახა ლომჯაშვილი**

---

ჭადრაკი

# ესეც რაჯაბ-ორი

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 22 იანვარი

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 1:0 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0:1 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1. | თეიმურ რაჯაბოვი | 2,5 |
| 2. | ლევონ არონიანი | 2,0 |
| 3. | დავიდ ნავარა | 2,0 |
| 4. | ვიშვანათან ანანდი | 2,0 |
| 5. | პეტერ სვიდლერი | 2,0 |
| 6. | ვლადიმირ კრამნიკი | 2,0 |
| 7. | ვესელინ ტოპალოვი | 2,0 |
| 8. | სერგეი კარიაკინი | 1,5 |
| 9. | რუსლან პონომარიოვი | 1,5 |
| 10. | ალექსანდრ მოტილევი | 1,0 |
| 11. | სერგეი ტივიაკოვი | 1,0 |
| 12. | ალექსეი შიროვი | 0,5 |
| 13. | მაგნუს კარლსენი | 0,5 |
| 14. | ლუკ ვან ველი | 0,5 |

**19 წლის** თეიმურ რაჯაბოვმა ვეიკ ან ზეეში მეორე თამაში მოიგო და ერთპიროვნული ლიდერიც შეიქმნა. აზერბაიჯანელმა გაესპანელებული ლიტველი ალექსეი შიროვი შავი ფიგურებით შემუსრა და მთავარ კონკურენტებს ნახევარი ქულით გაუსწრო.

რაჯაბოვმა თავის ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და შიროვთან თამაში კვლავაც ძველინდური დაცვით დაიწყო. დებიუტში მან ხელმწიფის ფლანგი გააძლიერა, მე-5 სვლაზე ბელადი საიმედოდ დააბინავა და იერიშებსაც შემდეგ შეუდგა. შავებმა ცენტრში მხედრები გამოაჭენეს, თეთრ ფიგურებს სამოძრაო გზები მოუსპეს და მეტოქეს პაიკებით მიაწვნენ. პარტია ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, რაჯაბოვმა ცენტრში მსუბუქი ფიგურები აამოძრავა, საბრძოლო მანევრებს მიმართა და მე-20 სვლაზე პაიკი მოიგო. მალე მან ხელმწიფის ფლანგიდან ახალი შეტევა წამოიწყო, პაიკები მეტოქის ჩასათვლელი ხაზისკენ გაუშვა და 39-ე სვლაზე ლაზიერად აქცია. ახალგამომცხვარი დედოფალი შიროვმა მაშინვე მოკლა, თუმც ამით გაფუჭებულ საქმეს ველარ უშველა და შვიდ სვლაში ხელები მაღლა ასწია.

**ლაშა გეგეჭკორი**

---

სუმო

# იანვრის სიზმარი დასრულდა

**იანვრის** ბაშოს დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ქართველი სეკიტორის ლევან ცაგურიას ანგარიშზე ოთხი ქულა და ექვსი წაგებაა. სამქულიანი უარყოფითი ბალანსი კოკაიმ გუშინ ასასეკირიუს ძლევით შეამცირა. „წითელ დრაკონად“ წოდებულ ექსკომუსუბის ჩვენებურმა ერთი ამოსუნთქვით აჯობა მძლავრი შეტევით გადაუძახა არენიდან. დღეს კოკაი კი კიდევ ერთ ექსკომუსუბის, ივაკიამას დაეჭიდება.

კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს ოცდამეერთე საუკუნის ერთადერთი იოკოძუნა ასასიორიუ. მრისხანე მონღოლმა მეცხრე ქულა სეკივაკე კოტომიცუკის ძლევით მიითვალა.

ასასიორიუს ფეხდაფეხ მდევარი ტრიო გუშინ დუეტად გადაკეთდა. ჯერ კიდევ გასულ უქმეებზე იმპერატორის თასზე მეოცნებე ტამაკასუგამ ზედიზედ მეორედ წააგო და „იანვრის სიზმარიც“ უსრულდა. ხოლო ოძეკი ტიოტაიკაიმ და უმაღლესი დივიზიონის უდაბლესმა სეკიტორიმ, 168-სანტიმეტრიანმა რიგითმა მაეგაშირა ტოინოსიმამ მერვე ქულები მიითვალეს. სპეციალისტები იოკოძუნას წამოწევის შედარებით რეალურ კანდიდატად ტიოტაიკაის ასახელებენ. შვიდქულიან ოძეკებს — კოტოოსიუსა და ხაკუხოს კი ტოინოსიმაზე მეტი შანსებს აძლევენ. ხაკუხო დღეს ასასიორიუს დაუპირისპირდება და ამ ბრძოლის შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა. ცნობისთვის, ხაკუხოსთან ჭიდაობა ასასიორიუს ტრადიციულად უჭირს. შარშანდელ ექვს ბაშოზე მისი წაქცევა მხოლოდ ორჯერ მოახერხა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ასასიორიუ მორიგ მეტოქეს გაუსწორდა



# დოლარნახული და ჯერარნახული

## ახალი მაკლარენი ალონსოთი და ჰემილტონით

**პირველად** მოხდა, რომ ლეგენდარული ახალზელანდიელი მრბოლ-ინჟინრის ბრიუს მაკლარენის მიერ ოთხი ათეული წლის წინათ შექმნილმა გუნდმა მორიგი სეზონის წინ ორივე პილოტი შეცვალა.

„მაკლარენ-მერსედესისთვის" შარშანდელი ჩემპიონატი ბოლო ათწლეულში ყველაზე უსახური იყო. ფინელმა კიმი რაიკონენმა, კოლუმბიელმა ხუან-პაბლო მონტოიამ და შემდეგ „შეცვლაზე შესულმა" ესპანელმა პედრო დე ლა როსამ ერთ ეტაპიც კი ვერ მოიგეს. არადა, ყველა ელოდა, რომ 2005 წლის ვიცე-ჩემპიონი და 18-დან ათი დიდი პრიზის მომგები საჯინიბო „რენოს" და „ფერარის" სატიტულო ბრძოლაში რეალურ კონკურენციას გაუწევდა, მაგრამ უზარმაზარი ჩამორჩენით მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.

უხეირო ხუანი უკვე შუა პირველობისას გაუშვეს გუნდიდან. თითქმის იმავე დროს გადაწყდა „ყინულის კაცი" კიმის „ფერარიში" მიხაელ შუმახერის შემცვლელად გადასვლის ამბავიც.

სამაგიეროდ, „მაკებმა" მეტად სოლიდური შევსება მიიღეს სადღეისოდ „სამეფო რბოლების" ყველაზე ტიტულოვანი მძღოლის ფერნანდო ალონსოს სახით და საჩემპიონო ამბიციებიც მოეძალათ. თუმცა გვეეჭვება, შარშანდელ ამგვარ ჩაფლავებას საგვირგვინო აღზევება მოჰყვეს, თუნდაც „თვით" ბოლო ორი სეზონის ტრიუმფატორ ნანდოს ძალისხმევით.

ბევრმა სპეციალისტმა ალონსოს ეს გადასვლა არასწორ, სარისკო ნაბიჯად ჩაუთვალა, საჩემპიონო „რენო" არ უნდა დაეტოვებინაო. ესპანელი მრბოლი ვითარებას სხვაგვარად აფასებს:

„ალბათ, ამ გუნდში მოხვედრა ნებისმიერი პილოტის ოცნებაა. ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. „მაკლარენში" გადასვლა ახალი გამოწვევაა და ეს დამატებით მოტივაციას მანიჭებს. იმედია, ფანტასტიკური სეზონი გვექნება. ჩემი მიზანი, ცხადია, ჩემპიონობაა და მართალია, არ ვიცი, რამდენად კარგი ბოლიდები აქვს „ფერარისა" და „რენოს", ჩვენი გუნდის წარმატებაში მაინც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რადგან ახალი „მაკლარენ MP4-22" ფანტასტიკაა."

ფერნანდო წლევანდელ საპირველფორმულო ქარავანში ყველაზე მაღალხელფასიანი პილოტი იქნება. 25 წლის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს „მაკლარენი" 40 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ალონსოს მეწყვილეა 22 წლის შავკანიანი ინგლისელი ლუის ჰემილტონი. მისთვის დამდეგი სეზონი სადებიუტო კი იქნება, თუმცა სარბოლო პრაქტიკა და წარმატებები ნამდვილად არ აკლია, კერძოდ, „პატარა" ფორმულის—GP2-ის ჩემპიონია. ლუისი ათი წლის წინ მოხვდა გუნდის ხელმძღვანელობის თვალთახედვის არეში და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას მეთოდურად „ზრდიდნენ".

შეიძლება გადაჭარბებული ოპტიმიზმია, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ჰემილტონი ისეთი მაგარია, წლეულსვე შეძლებს რბოლის მოგებასო.

„მაკლარენის" საზეიმო პრეზენტაცია ალონსოს სამშობლოში, ვალენსიაში შედგა. მრბოლ-ბოლიდთან ერთად დამსწრეთ წარუდგინეს გუნდის ახალი სატიტულო სპონსორი — გლობალური კომპანია „ვოდაფონი", რომელმაც სხვათა შორის, შარშან „ფერარისთან" თანამშრომლობა გაწყვიტა. ამიერიდან ბრიტანულ საჯინიბოს „ვოდაფონ-მაკლარენ-მერსედესი" ჰქვია.

დღეს ვალენსიაში, რიკარდო ტორმოს სახელობის ავტოდრომზე ახალი მანქანის პირველი სატესტო გამოცდა შედგება.

**გია ახალაძე**

# აფრიკაში აფრიკელმა ვერ ივარგა

**მარათონული** რალი-რეიდის მეცხრე ეტაპზე მავრიტანიისა და მალის ქალაქებს შორის მონაწილეებს 494 კილომეტრი მაქსიმალური სისწრაფით უნდა დაეძლიათ. უდაბნოში ამგვარ წვალებას ბუნებრივია, ბევრმა ვერ გაუძლო.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიცვალა ლიდერი მსუბუქი ავტომობილების ჩათვლაში: სამხრეთაფრიკელი ჟილ დე ვილერსის „ფოლკსვაგენს" 129-ე კილომეტრზე ცეცხლი გაუჩნდა და ბრძოლას გამოეთიშა. პრობლემები შეექმნა მის თანაგუნდელ კარლოს საინსსაც, რომელმაც ფინიშამდე გაჭირვებით კი მიაღწია, მაგრამ გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხედან მეათე ადგილზე ჩაეშვა შვიდწუთიანი ჩამორჩენით.

ყველას აჯობა ვეტერანმა ფრანგმა ჟან-ლუი შლესერმა, რომელიც საკუთარი კონსტრუქციის „ბაგი-ფორდით" გამოდის. მეორე და მესამე ადგილებიც ცნობილმა ფრანგმა მძღოლებმა ლუკ ალფანმა („მიცუბისი") და სტეფან პეტერანსელმა („მიცუბისი") დაიკავეს.

საერთო ჩათვლაში „დაკარის" რვაგზის ტრიუმფატორი პეტერანსელი დაწინაურდა, რომელიც თითქმის რვა წუთს უგებს ალფანს.

მოტომრბოლთა შორის მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა ლატვიელმა იანის ვინტერსმა, რომელმაც შვიდნახევარი წუთით მიასწრო ფრანგ სირილ დეპრეს და შარშანდელ ჩემპიონს, ესპანელ მარკ კომას.

კომას „რეპსოლ KTM" კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს, დეპრეს „გალუაზ KTM"-ზე 54 წუთითაა წინ. ვინტერსი მერვე პოზიციაზეა.

სატვირთო ავტოების შეჯიბრში ვეება უპირატესობა აქვს ჰოლანდიელი ჰანს სტეისის (MAN) ეკიპაჟს. ნემაში ფინიშთან ჰანსის სამეული მართალია მეორე მივიდა, თუმცა უახლოეს მდევარ ილგიზარ მარდეევის „კამაზ-მასტერთან" სხვაობა სამ საათამდე გაიზარდა. რადგან რუსული ტრიო მხოლოდ მეშვიდე იყო.

ეტაპი კი კიდევ ერთმა ჰოლანდიელმა ვულფერტ ვან გინკელმა („ჟინაფი") მოიგო, წლევანდელ „ლისაბონ-დაკარში" პირველად და მესამე ადგილზე აინაცვლა.



# ყველა გზის კენენისა



**თანამედროვეობის** ერთ-ერთმა უყოჩაღესმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ საფარზე შეუძლია ნებისმიერი მეტოქის გასწრება. სამძლეოსნო სარბენ ბილიკებზე ხომ შეუდარებელია, ასფალტის გზაზე მარათონულ რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენი გახლავთ და გრუნტზეც რომ არ ჰყავს სწორი, კვლავ გამოჩნდა.

2008 წელს შოტლანდიის დედაქალაქი კროსის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და კენენისამაც სწორედ ამიტომ ჩადგა ფეხი სქოთთა მიწაზე, რომ იქაურ გრუნტს და ჰავას გაჩვეოდა, თორემ სხვა შემთხვევაში იქნებ არც გაეხედა ამ კროსისკენ. გასულ შაბათს კი კენენისამ ყველაფერი გააკეთა, რომ მოეგო. არადა, შეეძლო, მთელი სეზონის განმავლობაში გადაღლილი კუნთები ამ ზამთარში მაინც დაესვენებინა, თანაც ამას წინათ ტრავმაზეც ალაპარაკდა.

ედინბურგის შემოგარენში 9,5-კილომეტრიანი კროსის მაყურებელთაგან ბევრი სწორედ ბეკელეს სირბილმა მიიზიდა. გრუნტზე რბენაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა თავისი უპირატესობა ყველას ძალიან იოლად დაუმტკიცა, თითქმის 10 კილომეტრიანი გზა 28 წუთსა და 14 წამში გაირბინა და ნახევარ წუთზე მეტით მიასწრო მთავარ კონკურენტად მოაზრებულ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილზე გასულ კენიელ ედუად კიპჩოგეს. კენენისას ზურგს უკან კი ფინიში მისმა თანამემამულემ, შედარებით უცნობმა სტაიერმა ზერსენაი ტადეშემ გადაკვეთა.

ეთიოპიურმა სტაიერულმა სკოლამ ქალთა გარბენშიც გამოიჩინა თავი. კენიელისა და ეთიოპიელის დუელი აქაც ამ მეორე ქვეყნის დროშით მორბენალმა მოიგო. გელეტე ბურკამ 6,7-კილომეტრიანი დისტანცია 23 წუთსა და 25 წამში დაფარა და 9 წამით აჯობა არაერთი კროსის მომგებ კენიელ ვივიან ჩერიოტს.

**კოტე ყორშია**

# ამერიკაში საათი გატყდა




**კვირას** ამერიკულმა ჰიუსტონმა საკმაოდ წარმომადგენლობით მარათონს უმასპინძლა. 42,125-კილომეტრიანი დისტანცია კაცთა შორის უსწრაფესად დაფარა მაროკოელმა ფეისა ტუსემ (2 სთ. 11 წთ, 39 წმ), ქალებში კი ეთიოპიელმა დირე ტუნემ (2:26.52). ორივე საკმაოდ კარგი შედეგია, თუმცა ჰიუსტონში სულ სხვა შეჯიბრმა დაიმსახურა ყურადღება, ტრადიციულ მარათონთან ერთად ქალაქის ქუჩებმა ნახევარმარათონში ამერიკის ჩემპიონატს უმასპინძლა.

ხმაური კი იმას მოჰყვა, რომ ამ ნახევარმარათონში რაიან ჰოლმა 21-კილომეტრიანი დისტანცია სარეკორდო დროში გაირბინა — 59 წუთსა და 43 წამში და შეერთებული შტატების პირველი მოქალაქე გახდა, ვინაც 21-კილომეტრიან შარაგზა საათზე ნაკლებ დროში დაძლია. ისე, ეს შედეგი ამერიკისთვისაა სარეკორდო, თორემ აფრიკელი სპორტსმენებისთვის საათზე ნაკლებ დროში ჩატევა ჩვეულებრივი და ლამის ყოველდღიური შედეგია.

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge